# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 30 მაისი 2006 №121 (2743) ფასი 50 თეთრი

# ტოპმიოლერი პროპროგრესისტია

## კობიაშვილი სიცხემ აფიშიდან ჩამოიყვანა



*კობა ინასარიძე დორნბირნიდან*

„როკე სანტა კრუზი მილანელი კახა კალაძისა და შალკელი ლევან კობიაშვილის წინაალმდეგ“ — ასე აწერია იმ აფიშებს, რომლებიც დორნბირნის ქუჩებში უკვე ბლომად გამოუკრავთ და ქომაგობას ხვალინდელ პარაგვაი — საქართველოზე ეპატიჟება.

კახა კალაძეზე და სანტა კრუზზე რა გითხრათ, მაგრამ ხვალ საქართველო ალბათ ლევან კობიაშვილის გარეშე ითამაშებს, ის ავადაა და გუშინ საღამოს სასტუმროში დარჩა, გუნდი კი ექსკურსიაზე წავიდა. ეს ამბავი რომ გაიგონ, შესაძლოა, გელზენკირხენში გაბრუნდნენ „შალკეს“ ქომაგებიც, რომლებიც ალტენკირხენის მატჩსაც ლევან კობიაშვილის ხათრით დაესწრნენ, ახლა კი დორნბირნშიც ჩამოვიდნენ.

— არ ვიცი, რისი ბრალია, რამდენიმე დღეა, თავს სუსტად ვგრძნობ, გაციებული ვარ და მგონი, სიცხემაც ამიწია. ვეჭვობ, პარაგვაისთან თამაში შევძლო — გვითხრა ლევანმა, როცა გუნდი სასტუმროდან „გაისტუმრა“.







# ნადალმა მიწები შეიერთა

## ესპანელმა ვუნდერკინდმა 29-წლიანი ლეგენდა გადაიბარა

# 54!

ვისიც სახლია, მიწაც იმისია — გრუნტის კორტების ოდინდელმა მეფემ გილერმო ვილასმა საკუთარი ხელით ჩააბარა „როლან გაროსის“ მიწა თიხნარის ახლანდელ მეპატრონეს რაფაელ ნადალს, რომელმაც ზედიზედ 54-ე მატჩი მოიგო თიხაზე და ვილასის 29 წლის წინანდელი რეკორდი გააუმჯობესა.










# ხისტი პარაგვაი სველ ავსტრიაში

## ტოპმიოლერმა იცის, რას ნიშნავს პროგრესი

**კობა ინასარიძე დორნბირნიდან**

...დორნბირნში გუშინაც გადაუღებლად წვიმდა, თუმცა ამინდს კლაუს ტოპმიოლერისთვის ხელი არ შეუშლია და დაგეგმილი დილის ვარჯიში მაინც ჩატარდა. გუნდთან ერთად აღარ იყო გოგა გახოკიძე, რომელიც ტრავმისშემდგომ სარეაბილიტაციო კურსს გადის და ალტენკირხენიდანვე ჰოლანდიაში დაბრუნდა. ის ნაკრებს ალტენკირხენის სასტუმროში შეხვდა, მატჩს დაესწრო, გუნდთან ერთად მატჩისწინა ეროვნულ ჰიმნზეც გასწორდა, შეხვედრის შემდეგ კი უკან გაბრუნდა. დამეთანხმებით, პროფესიონალის საქციელია. დანარჩენებმა კი ქალაქის ერთ-ერთ სტადიონზე საათნახევარი ივარჯიშეს და მეტწილად მწვრთნელის ტაქტიკური დავალებები შეასრულეს. სადღეისოდ კლაუს ტოპმიოლერის მთავარი საზრუნავი ხწორედ გუნდის ტაქტიკური განსწავლაა, თორემ ფიზიკურ კონდიციებს ფეხბურთელები ევროშესარჩევისთვის ალბათ სრულად აღიდგენენ, ხოლო ტექნიკაზე, ვფიქრობთ, ლაპარაკი არ ღირს...

...ახალ ზელანდიასთან მატჩისგან განსხვავებით შემადგენლობაში ალბათ გარკვეული ცვლილებები იქნება.

— მსურს, ყველა ფეხბურთელი გამოვცადო და სუსტი პოზიციები საუკეთესოებით დავაკომპლექტო. დაცვის ფლანგებზე შესაძლოა, ლაშა სალუქვაძემ და ილია კანდელაკმა ითამაშონ — თქვა გუშინ ნაკრების მწვრთნელმა, რომელმაც მომავალი მეტოქე ორი სიტყვით ასე დაახასიათა — ხისტი და დაცვიდან მოთამაშე გუნდია. პარაგვაი განსაკუთრებით საშიში კონტრშეტევებზეა და თამაში სანტა კრუზზე და ვალდესზე აქვთ აწყობილი. ძალიან ძნელია, პარაგვაის გოლი გაუტანო.

ტოპმიოლერს საღამოს ვარჯიში არც ხვალ აქვს დაგეგმილი. მით უმეტეს, წუხელ მთელი დორნბირნი იმას ამბობდა... ხვალ გათოვდება კიდეცო... აქ ისეთი ამინდია, ეს ნამდვილად არ გამიკვირდება...

ამასობაში კი გიორგი დემეტრაძე ცალი ფეხით უკვე დონეცკის „მეტალურგშია" და თან ლევან ცქიტიშვილი და დავით კვირკველიაც



„მიჰყავს". თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დემეტრაძე „მეტალურგთან" კონტრაქტს 10 ივნისს გააფორმებს. ჯერჯერობით კი...

— დღესდღეობით მხოლოდ საქართველოს ნაკრებზე და დადებით შედეგზე ვფიქრობ. მართალია, ახალ ზელანდიასთან ამხანაგური წავაგეთ და პარაგვაისთან შეხვედრასაც ასეთი სტატუსი აქვს, მაგრამ ჩვენთვის კარგ შედეგს დიდი მნიშვნელობა აქვს. თამაში ამხანაგურია თუ ოფიციალური, საქართველომ ყველა უნდა მოიგოს. ახალ ზელანდიასთან წაგების მიუხედავად კი, მესიამოვნა, რომ გუნდს გარკვეული სიახლეები უკვე დაეტყო და ვფიქრობ, ეს თამაშის დროსაც გამოჩნდა. ცოტაც და, საგრძნობლად მოვუმატებთ — გვითხრა *გიორგი დემეტრაძემ.*

**— ორი დღეა, ნაკრების ფეხბურთელებისგან თითქმის ერთი და იგივე მესმის: მთავარია კარგი შედეგი! ასეთ შედეგს კი ვერა და ვერ აჩვენებთ. მწვრთნელი რას ამბობს?**

— ყველამ კარგად იცის, კლაუს ტოპმიოლერი რა დონის და როგორი ავტორიტეტული მწვრთნელია. თავადაც ორი-სამი დღეა, გავიცანი. ჩვენი სიტყვებიც ალბათ მისი დარიგებების შედეგია: ტაქტიკას გვირჩევს, ყველაფერს წვრილად გვიხსნის... მოკლედ, საქმის, ასე ვთქვათ, სავალდებულო ნაწილს მოილევს და მერე ერთსაც გვეტყვის ხოლმე — გუნდს პროგრესს უკვე ვატყობ.

**— ახალ ზელანდიასთან ფლანგზე ითამაშე. გაგიჭირდა?**

— ფლანგიდან ადრეც ვთამაშობდი, მაგრამ უკვე კარგა ხანია, მხოლოდ ცენტრფორვარდის პოზიციაზე ვარ. გამიჭირდა თუ არა ახალ ზელანდიასთან, ახლა ვერ გეტყვი. თუმცა ფლანგზე თამაშსაც თავისი გამოცდილება სჭირდება და თუ მწვრთნელი ჩათვლის, რომ ასე აჯობებს, თამაშიდან თამაშამდე ამ პოზიციაზე უფრო უკეთ ვითამაშებ.

**— ძველ გუნდში, „მეტალურგში" დაბრუნება რამ გადაგაწყვეტინა?**

— სერიოზულმა წინადადებამ, რომელიც ამ კლუბიდან მივიღე. როგორც მითხრეს, „მეტალურგს" მთელი სამწვრთნელო შტაბი ესპანელებით დაუკომპლექტებია. დონეცკში ჩაიყვანეს იოჰან კრუიფის ვაჟი ხორდი, ასევე აბრუნებენ მენდოზას და რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელის მიწვევას აპირებენ. ცქიტიშვილის და კვირკველიას გადაბირებაც ძალიან სურთ. მოკლედ, ძალიან მაგარი გუნდის გაკეთებას აპირებენ და ვნახოთ, რა გამოვა. დეტალები დასაზუსტებელია და ალბათ ათ ივნისს კონტრაქტსაც გავაფორმებ.

## geo_geo_fan@hotmail.com

კლაუს ტოპმიოლერისეული საქართველოს ნაკრები პირველად შეიკრიბა თითქმის უძლიერესი შემადგენლობით და უკვე ერთი მატჩის ჩატარებაც მოასწრო. ალბათ შეხსენებაც არ გჭირდებათ — ჩვენებმა გერმანულ ალტენკირხენში ახალ ზელანდიასთან 1:3 წააგეს.

31 მაისს მეორე ტესტ-მატჩია: საქართველო ამჯერად ავსტრიულ დორნბირნში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე პარაგვაის გაეჯიბრება.

ჰოდა, ჩვენი რუბრიკაც გაიხსნა — საქართველოს ნაკრების ყველა ქომაგს ვიწვევთ სანაკრებო პრობლემებზე, პლუს-მინუსებზე, იმედსა თუ უიმედობაზე სასაუბროდ.

ასე რომ, მოგვწერეთ და ერთად ვიმსჯელოთ...

## ორი ალეკოს აზერჩემპიონური

ალეკო გოგობერიშვილისა და ალეკო რეხვიაშვილის „ბაკი" აზერბაიჯანის ჩემპიონი გახდა. გუშინ ჩვენიანების გუნდმა ბაქოს „ინტერს" სტუმრად 1:0 მოუგო და ყველასგან მიუწვდომელი გახდა... გოგობერიშვილმა საჩემპიონო მატჩი სრულად ითამაშა, რეხვიაშვილი კი მინდორზე არ გასულა.

### ნორვეგია

**ტიპელიგა. X ტური**

ფრედრიკსტადი 5:3 ტრომსიო

**I დივიზიონი. X ტური**

ბრინი 2:0 პორს გრენლანდი

ოსლო იოსტი 1:1 ალესუნდი

### ისლანდია

**პრემიერდივიზიონი**

**IV ტური**

ფილკირი 1:2 ჰაფნარფიორდური

კეფლავიკი 3:0 რეიკიავიკი

ვესტმანაეიარი 0:1 ვიკინგური

ბრეიდაბლიკი 2:3 გრინდავიკი

ვალიური 2:1 აკრანესი

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

**B ჯგუფი**

**III ტური**

დანია 1:2 უკრაინა

ჰოლანდია 1:0 იტალია

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| დანია | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | 2 |

### ამხანაგური მატჩი

განა 4:1 იამაიკა

# ევროპის შოთათეული



**მსოფლიოს** ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა 2006 წლის ევროპის საუკეთესო მეგოლეთა ათეული, რომელშიც ქართველი ფორვარდი შოთა არველაძეც მოხვდა. ჰოლანდიური „ალკმაარის" ჩვენებურს აწ დასრულებულ სეზონში იუვენტუსელ დავიდ ტრეზეგეს დარად 23 გოლი დაუგროვდა და ფრანგთან მეათე-მეთერთმეტე ადგილებს იყოფს.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში არველაძე ჰოლანდიაში მხოლოდ ორს ჩამორჩა — აიაქსელ კლაას იან ჰუნტელაარს (35 გოლი) და ფეიენოორდელ დირკ კუიტს (24).

შოთა ახლა საქართველოს ნაკრების შეკრებაზეა ავსტრიულ დორნბირნში და სამიოდ დღის წინ ახალ ზელანდიასთან 1:3 წაგებულ მატჩშიც გამოიჩინა თავი.

**ქახა შალამბერიძე**

| | მოთამაშე | კლუბი | ეროვნება | გოლი |
|---|---|---|---|---|
| 1 | კლას იან ჰუნტელაარი | ჰერენვენი/აიაქსი | ჰოლანდია | 35 |
| 2 | კრის ბოიდი | კილმარნოკი/რეინჯერსი | შოტლანდია | 32 |
| 3 | ლუკა ტონი | ფიორენტინა | იტალია | 31 |
| 4 | ჰამდი სალიჰი | ტირანა | ალბანეთი | 29 |
| 5 | ტიერი ანრი | არსენალი | საფრანგეთი | 27 |
| 6 | სამუელ ეტოო | ბარსელონა | კამერუნი | 26 |
| 7 | მიროსლავ კლოზე | ვერდერი | გერმანია | 25 |
| | დავიდ ვილა | ვალენსია | ესპანეთი | 25 |
| 9 | დირკ კუიტი | ფეიენოორდი | ჰოლანდია | 24 |
| 10 | შოთა არველაძე | ალკმაარი | საქართველო | 23 |
| | დავიდ ტრეზეგე | იუვენტუსი | საფრანგეთი | 23 |

# ვიტჯორჯიული ამბები

## იმედაშვილი კიევურ შეკრებაზე მარცვალაძესთან ერთად მიდის

თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ 21 წლის ნახევარმცველი დავით იმედაშვილი 2 ივნისს კიევის „დინამოში“ იქნება, გუნდს შეკრებაზე გაჰყვება და მერელა გადაწყდება, დარჩება თუ არა უკრაინის უტიტულოვანეს გუნდში — ეს ინფორმაცია „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტმა გურამ რუხაძემაც დაგვიდასტურა და ისიც გვითხრა, რომ იმედაშვილზე „ვიტ ჯორჯიაში“ კიევის „დინამოდან“ ოფიციალური მოთხოვნა მივიდა და ფეხბურთელიც ამის საფუძველზე მიდის უკრაინაში.


ზურაბ [illegible] ფოტო

თვეების წინ „ვიტ ჯორჯიადან“ ფორვარდი ოთარ მარცვალაძე ზუსტად ასეთი გზით მოხვდა კიევურ „დინამოში“ — ახლა კი იმედაშვილის ჯერია.

„ვიტ ჯორჯია“ ჯერაც შვებულებაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ იმედაშვილი საუკეთესო ფორმაში ვერ იქნება და როცა მას შევეხმიანეთ, პირველ რიგში ამაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...

— „ვიტ ჯორჯია“ კი ისვენებს, მაგრამ მე ინდივიდუალურად ვემზადები.

— კიევის „დინამოში“ ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ ფიზიკურ მომზადებას, შენ კი, ცოტა არ იყოს, არახელსაყრელ დროს მიდიხარ გასინჯვაზე — იქ ალბათ დიდი დატვირთვების ფონზე მოგიწევს შესაძლებლობების წარმოჩენა...

— მიუხედავად ყველაფრისა, ვფიქრობ, უნდა შევძლო ჩემი საუკეთესო თვისებების გამომჟღავნება.

— ოთარ მარცვალაძისთვის რჩევები ჯერ არ გკითხავს?

— არა, რადგან ის ახლა სანაკრებო შეკრებაზეა, მაგრამ მალე შევხვდები — მე და მარცვალაძე ერთად ჩავალთ კიევში.

მოკლედ, ჩაირიცხება თუ არა იმედაშვილი „დინამოში“, ერთ-ორ დღეში ვერ გადაწყდება და „ვიტ ჯორჯია“ იმედაშვილის გარეშე შეუდგება მომავალი სეზონისთვის მზადებას. ხვალ „ვიტ ჯორჯიას“ კრება გაიმართება, ხოლო ზეგიდან გუნდი ვარჯიშს დაიწყებს...

— ახალი ფეხბურთელები ჯერ არ დაგვიმატებია და თუ იმედაშვილს არ ჩავთვლით, არც არავინ აპირებს წასვლას. 24 ივნისისთვის უცხოეთში წავალთ ორკვირიან შეკრებაზე. ჯერ არ ვიცით, რომელ ქვეყანას ავარჩევთ, თურქეთში წასვლა კი გამოირიცხა — გვითხრა ვიტჯორჯიელთა მთავარმა მწვრთნელმა *ნესტორ მუმლაძემ*.

იმედაშვილმა მე-17 ეროვნულ ჩემპიონატში 11 გოლი გაიტანა და რალფ მინგემ ის ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვია. საქართველოში მეორეადგილოსან „ვიტ ჯორჯიას“ უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევს თამაში და თუ იმედაშვილი კიეველებმა დაიტოვეს, ვიტელებს ევროფრონტზე ბრძოლა ალბათ მეტად გაუძნელდებათ...

**დავით თავართქილაძე**


ზურაბ [illegible] ფოტო

„ბორჯომი“, გასული სეზონის ბოლო ტურებამდე ევროსაგზურის მოპოვების რეალურ კანდიდატად რომ ითვლებოდა, ფეხბურთელებისგან იცლება. არგენტინელებმა, გონსალო დე პორასმა და დარიო სებალემ საქართველოში თამაში აღარ ისურვეს, გადაწყვეტილია „ჩიხურაში“ მიხეილ მესხის, ზურაბ მალაძის და სანდრო ბურნაძის გადასვლა, „ამერში“ გადავიდა იური გაბისკირია... რაღა დარჩა? რამდენიმე ფეხბურთელი, რომელიც გაურკვეველ მდგომარეობაშია. მათ შორის ერთ-ერთი შოთა ჯიქიაცაა, რომელსაც გუშინ შევეხმიანეთ...

# ერთწლიანობის სინდრომი

## ბორჯომი საკურორტე სეზონზე იცლება

— ჯერჯერობით გაურკვევლობაში ვარ. არ ვიცით, რას აპირებს „ბორჯომის“ ხელმძღვანელობა. წესით, ერთ-ორ დღეში გაირკვევა გუნდის მომავალი და მერე კონკრეტულად დავილაპარაკებთ. ოფიციალურად კვლავაც „თბილისს“ ვეკუთვნი, ბორჯომში კი ორწლიანი იჯარით ვარ. არ გამოვრიცხავ, ახალი სეზონი „თბილისში“ დავიწყო...

— რამდენიმე ბორჯომელი საჩხერის „ჩიხურაში“ გადავიდა. შენც ხომ არ გქონია შემოთავაზება?

— იყო ლაპარაკი, თუმცა როგორც ვთქვი, ჯერ „ბორჯომში“ ვითარების გარკვევას ველოდები. საჩხერის გარდა თელავის „კახეთზეც“ იყო საუბარი.

— სხვა შენი თანაგუნდელები რას აპირებენ?

— რეზო გეწაძეც ჩემნაირადაა, დანარჩენებისას კი ვერაფერს გეტყვით. თუმცა ვინლა დანარჩენის, ბევრნი არც ვართ.

— გასულ სეზონს პირადად შენთვის წარუმატებლად ხომ არ მიიჩნევ?

— საერთო ჯამში არა. მეორე წრეში ძირითადად შეცვლაზე მიწევდა თამაში, მაგრამ რამდენჯერაც შევედი, ან გოლი გავიტანე, ან საგოლე პასი გავაკეთე. ბოლო სამი-ოთხი ტური კუნთი მქონდა დაჭიმული და ამის გამო გამოვტოვე. უკმაყოფილო არ ვარ, მაგრამ ნებისმიერი ფეხბურთელივით ძირითად შემადგენლობაში თამაში მსურს და ვეცდები, გაცდენილი დრო მომავალ სეზონში ავინაზღაურო.

**გიორგი ნოზაძე**



# როცა ნგრევაც ლამაზია

## ეს ხმაური რომ მორჩება, ხმაური მერე ნახეთ

**სურვილი** მითხარი, თორემ სილამაზის დანახვა ნგრევაშიც შეიძლება. დღევანდელი ეროვნული სტადიონი გაცილებით ლამაზი ჩანს, ვიდრე რემონტის დაწყებამდე იყო, რადგან ნგრევას შენება უნდა მოჰყვეს. მოჰყვა კიდეც — ტრიბუნებზე ბეტონის სამუშაოები მთავრდება და მალე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟების დროც მოვა; მეორე იარუსის ირგვლივ ბაქანი მთლიანად გასუფთავდა და გარედან ილებება; ხარაჩოებშია ჩასმული პირველი იარუსიც...

რაც მთავარია, „ეროვნულზე“ მუშაობა წუთითაც არ წყდება და გვჯერა, რომ დათქმულ დროში, ანუ 2 სექტემბერს ისევ ერთდროულად გაიღება ქვეყნის უმთავრესი სპორტული არენის ყველა კარი.

„სარბიელის“ ფოტოკორესპონდენტ ბადრი კეთილაძეს ამ კადრების გადასაღებად სამუშაო საათების ან დღეების შერჩევა არ დასჭირვებია — პროჟექტორებით განათებულ „ეროვნულზე“ ხმაური ღამითაც არ წყდება.













ორიოდ კვირის წინ პროკურატურამ ქუთაისის „ტორპედოს“ შემოწმება დაიწყო. ამ „ვიზიტის“ მიზეზი ის იყო, თითქოს შარშან შპს საფეხბურთო კლუბმა „ტორპედომ“ ტენდერში არაკანონიერად გაიმარჯვა და მას შემდეგ ვალდებულებებს ბოლომდე არ ასრულებს. ამ შპს-ს, იგივე „ტორპედოს“ პრეზიდენტი გრიგოლ ხურციძეა, რომელსაც გუშინ შევეხმიანეთ და გვითხრა, პროკურატურა კვლავაც აგრძელებს გამოძიებასო...

# პროკურატურა ტორპედოს რევიშვილს ედავება

## გრიგოლ ხურციძე: სულ მცირე, უეფა

— ტრანსფერების არამართებულად წარმოებას გვაბრალებენ, თითქოს თანხებში ხელები ვაფათურეთ. მეკარე ნუკრი რევიშვილის ყაზანის „რუბინში“ წასვლაზეა ლაპარაკი და მათ ვუხსნი, რომ ეს ფეხბურთელი ჩვენ არ გვეკუთვნოდა. მას ექვსი პლუს ექვსთვიანი კონტრაქტი ჰქონდა და ყველამ იცოდა, რომ ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე შეეძლო წასვლა.

— და ვერ უმტკიცებთ პროკურატურას, რომ რევიშვილში თანხა არ აგიღიათ?

— მათ უნდა შეიგნონ, რომ დარღვევა არ გვქონია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ნოდარ კაკულია და რევაზ შენგელია ჩამოვიყვანეთ, მათაც აუხსნეს ვითარება, თუმცა მაინც თავისას ამბობენ და არ ვიცი... რევიშვილის გაშვება არ გვინდოდა, ეროვნულ ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, მას საქართველოში დარჩენა და სათამაშო პრაქტიკის მიღება უჯობდა, მაგრამ...

— ამბობდნენ, პროკურატურა „ტორპედოს“ სტადიონს და ბაზასაც შეამოწმებსო...

— შეუძლიათ, ნახონ და დარწმუნდებიან, რომ ქუთაისის სტადიონის მინდორი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. ზესტაფონში რომ 21-წლამდელთა ნაკრებს თამაში ჰქონდა, მანამდე აქ ივარჯიშეს — კლაუს ტოპმიოლერიც და ფეხბურთელებიც კმაყოფილები დარჩნენ. ბაზა ზამთარში იყო დათოვლილი, თორემ ახლა წესრიგშია და კიდევ უფრო უკეთესი გახდება.

— „ტორპედომ“ წლეულს ლიცენზია ვერ აიღო. მართალია, გუნდი ევროტურნირებზე არ გადის, მაგრამ არ სჯობდა, ეს საქმე ახლავე დაგეწყოთ?

— წლეულს არც გვქონდა დასახული ევროპაზე გასვლა და ფედერაციას წინასწარ ვაცნობეთ, რომ ლიცენზირებას ვერ გავივლიდით. საგაისოდ ეს პრობლემა არ იქნება. უბრალოდ, ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლა გვიწევდა და დროში ვერ ჩავეტიეთ.

— ადრე გვითხარით, „ტორპედო“ მომავალ სეზონში სერიოზული გუნდი იქნება და მხოლოდ უმაღლესში დარჩენისთვის არ ვიბრძოლებთო. ახალ ფეხბურთელებზე რას იტყვით?

— შეძენილ ფეხბურთელებზე 5 ივნისის შემდეგ ვილაპარაკებ. „ტორპედო“ აუცილებლად გაძლიერებული შეხვდება ახალ სეზონს და სულ მცირე, უეფას თასზე გასვლისთვის ვიბრძოლებთ.

**ილია ნანობაშვილი**

# ინკოგნიტო უკვე ფოთშია

## კოლხეთი ორ კვირასაც მოიცდის

**ფოთის** „კოლხეთს“, რომელიც ჯერაც უპატრონოდაა მიტოვებული და აწ დასრულებული სეზონიდან ვალებიც აქვს გამოყოლილი, შესაძლოა, საშველი დაადგეს.

გუშინ „კოლხეთის“ პრეზიდენტი მერაბ ასანიძე და მოსკოვში მოსაქმიანე ფოთელი ბიზნესმენი ქალაქის მერ ვანო სალინაძეს შეხვდნენ. ამ ბიზნესმენის ვინაობა ჯერ არ ხმაურდება, თუმც შევიტყვეთ, რომ ინკოგნიტო მეწარმე სერიოზულად ფიქრობს „კოლხეთის“ შეძენაზე და გუშინდელი შეხვედრაც ამის მანიშნებელი უნდა იყოს.

ბიზნესმენი „კოლხეთის“ სტადიონის შესყიდვასაც აპირებს. კლუბის განკარგულებაშია სავარჯიშო მოედანიც და თუ ინვესტორი „კოლხეთს“ იყიდის, კლუბის მთელი ინფრასტრუქტურაც მისი იქნება.

ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ მონახაზია, თუმც „კოლხეთისთვის“ საქმეს კარგი პირი უჩანს. საბოლოო პასუხს კი ინკოგნიტო ბიზნესმენისგან ორ კვირაში ელიან.

**დავით თავართქილაძე**

# შენ ყველაზე მაგარო

## ნიკოლშოუ ფეხბურთში დაბრუნდა



„შენ ყველაზე მაგარო,
შენ ყველაზე ჯიგარო,
იცოდე, რომ გამარჯვების გოლი
შენ უნდა გაიტანო“

უფროსი „ნიკოლშოუმენის“, გია ნიკოლაძის ახალი სიმღერა კვირაზე მეტია, „პირველი სტერეოს“ ეთერში ტრიალებს და საკმაო პოპულარობაც მოიპოვა. საფეხბურთო კლუბ „ამერისთვის“ შექნილი ეს ჰიმნი ჯერ კიდევ 13 მაისამდე, საქართველოს თასის ფინალამდე იყო მზად, მაგრამ ფინალში გამარჯვებამ სიმღერას, სიმღერამ კი გამარჯვებას განსაკუთრებული ეშხი შესძინეს. „ამერის“ გამარჯვებისადმი მიძღვნილ ბანკეტზე ავტორმა პირველად შეასრულა „შენ ყველაზე მაგარო“, თუმცა „ბისზე“ გამოსვლამ რამდენჯერ მოუწია, ვერავინ დაითვალა.

გია ნიკოლაძეს შინ ვესტუმრეთ. „ამერის“ არაოფიციალური წევრი და სახელობითი მაისურის მფლობელი, პროფესიით ფილოლოგი და რწმენით „თავის უფალი“, ძმათაგან უფროსი ნიკოლაძე საინტერესო მოსაუბრეა, თუმცა გასაგებ მიზეზთა გამო, ჩვენი საუბრის ძირითადი თემა ფეხბურთი იყო...

— მოდი, ბოლოდან დავიწყოთ: „ამერის“ ბანკეტზე შენი ახალი სიმღერა საჯაროდ პირველად შესრულდა. როგორ ფიქრობ, დარბაზიდან წამოვიდა ის საპასუხო ემოცია, რომელსაც ელოდი?

— მგონი, კი. თავიდანვე ამაზე იყო გათვლილი. ძალიან ბევრი ვიწვალეთ, ხან ასე ვცადეთ, ხან ისე და ბოლოს, მგონი, დაჯდა. სტადიონზე სამღერლად რომ გამოდგება, ისეთი რაღაცის გაკეთება გვინდოდა და მისამღერი ალბათ გამოდგება — მარტივია, თანაც გულიდან წამოსული. მგონი, გავარტყით, თუმცა ამას დრო გვიჩვენებს.

— ემოცია ერთია, რამდენად „დაჯდა“ ერთმანეთზე სიმღერა და „ამერი“ როგორც გუნდი?

— მაგრად. თან რა არის, იცი? ერთ დროს ყველანი მაგარი გულშემატკივრები ვიყავით და მერე მე ეს დავკარგე. ახლა დამიბრუნდა, ამ სიმღერამ და გუნდმა დამიბრუნა.

— შენ თავს ამერელად თვლი და სიმღერის დაწერა ალბათ ამანაც გაგიადვილა...

— შინაგანად ამ ოჯახის წევრად მიმაჩნია თავი. თუ სიმღერამ გაამართლა, დაგლიჯავს — ხომ გვყავს გულშემატკივრები და წარმოიდგინე, თამაშისას რომ ამ სიმღერას აყვნენ... მაგარი მხარდაჭერა იქნება.

— „ამერისგან“ რას ელი?

— მე ისე არ ვუყურებ ამ ამბავს, დღეს ერთი მოვიგოთ და მეორე მერე იყოს. გუნდი რაღაც რელსზე დგას, ფორტუნაც მის მხარესაა და რატომ იქნება სასწაული?! მე მეტს ველი.

— ჩემპიონობას?

— რატომაც არა?! თუ მაქსიმუმის იმედი არ გაქვს, ქომაგობას საერთოდ არა აქვს აზრი.

— ტექსტიც და მელოდიაც ჯერ კიდევ ფინალამდე გქონდა მზად. გამოდის, რომ „შენ ყველაზე მაგარო“ გამარჯვებულ „ამერს“ დაებედა. გჯერა სიმბოლოების?

— მჯერა, მაგრამ მისამღერში „ჯიგარო“ ხომ არ ტეხავს? მგონი, სიმარტივე ამ დროს ყველაზე კარგია.

— სიმარტივის გამოცაა, რომ ამ სიმღერის კლიპი „პირველ სტერეოზე“ უკვე საკმაოდ პოპულარულია...

— ეგ კიდევ არ არის საბოლოო ვარიანტი, ტექსტში რაღაც ცვლილებები შევიტანე, საბოლოო ვარიანტი ის იყო, ბანკეტზე რომ ვიმღერეთ.

— კლიპის გადაღება შენც ხომ არ გიფიქრია?

— როგორ არა, როცა სიმღერა იწერება, რაღაცნაირად აღიქვამ, თითქოს შენელებულ კადრებსაც ხედავ. წარმოიდგინე, „კომანდოსის“ დასაწყისში შვარცნეგერი იარაღს რომ აისხავს. ასევე წარმომიდგენია, რომ ამ კლიპის პირველი კადრები გასახდელში უნდა იყოს გადაღებული — ფეხბურთელი გეტრებს იცვამს, ბუცებზე თასმებს იკრავს და საბრძოლველად გადის...

*საუბარი „კურიერმა“ შეგვაწყვეტინა. გია აშკარად სრული ყურადღებით ისმენდა თითოეულ ინფორმაციას. საინფორმაციო გამოშვების დასრულების შემდეგ საუბარი გაგრძელდა...*

— თითქოს შოუბიზნესში მოტრიალე ხალხი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებით ნაკლებად ინტერესდება, შენ კი...

— აბა, რა ვქნათ?! გავიზარდეთ, უკვე მეათე კლასში გადავედით და ამ დროს სკოლას მერვეკლასელი მართავს. რა თქმა უნდა, გვაინტერესებს, რა იქნება ხვალ. შოუბიზნესს რაც შეეხება, მის ნაწილად ნამდვილად არ აღვიქვამ თავს, აქ გავლით ვარ და ბოლო გაჩერება ალბათ კინოში მექნება.

— ამ „შემთხვევით გავლაში“ რამდენი სიმღერა დაუგროვდა „ნიკოლშოუს“?

— რვა თუ ცხრა.

— ერთი ალბომისთვის საკმარისია და თუნდაც კომერციულად კარგი პერსპექტივა აქვს. არ აპირებთ ალბომის გამოშვებას?

— ვიცი, რაც არის „პაპსა“ და ისიც ვიცი, რომ კომერციულად მომგებიანი სიმღერები გვაქვს, მაგრამ ეს მაინც სხვა რამეა, ჩემს საქმედ არ ვთვლი. ემოციების კაცი ვარ, „თავის უფალი“ და შეიძლება, ხვალ სულ სხვა საქმეს მოვკიდო ხელი.

— წელან თქვი, „ამერმა“ და ამ სიმღერამ ფეხბურთისკენ მომაბრუნაო. მსოფლიოს ჩემპიონატზე ვის უგულშემატკივრებ?

— გამორჩეულად არავის. თუმცა, ალბათ მაინც ბრაზილიას.

— ჰო, მაგათ ფორმაში, „ამერის“ არ იყოს, ყვითელი ფერი სჭარბობს...

— ეტყობა, მაგიტომაც...

— სხვა ქართული გუნდის წარმომადგენელი რომ მოვიდეს და სიმღერის დაწერა გთხოვოს?

— არ გამომივა.

— იქნებ ისიც აკმაყოფილებს, რაც გამოგივა?

— ცუდად გამომივა კი არა, საერთოდ არ გამომივა — მეტოქეა და...

**გიორგი ნოზაძე**

# პატარა სერბეთი დიდ ზღაპარში

**საქართველოს** 21-წლამდელთა ნაკრების მეტოქე სერბეთმა ევროჩემპიონატის რვაგუნდა ფინალურ ეტაპზე ნახევარფინალში გაალწია. სერბებმა ბოლო ტურში ფრანგ თანატოლებთან 0:2 წააგეს, ჯგუფის პარალელურ მატჩში კი პორტუგალიამ გერმანიას 1:0 მოუგო. შესაბამისად, საფრანგეთმა 9 ქულა დააგროვა, დანარჩენმა სამმა კი 3-3 ქულას მოუყარა თავი და სერბეთმა პორტუგალიასა და გერმანიას ერთმანეთში გატანილ-გაშვებული გოლებით აჯობა.

ზეგ ნახევარფინალში დროგომირ ოკუკას გაწვრთნილი სერბეთი B ჯგუფის პირველადგილოსანს შეხვდება და, სავარაუდოდ, ეს იტალია იქნება. ფრანგებთან წაგებულ შეხვედრაში კი არ უთამაშია სერბების ლიდერ მირკო ვუჩინიჩს, რომელმაც ტრავმა მიიღო და კარგა ხნით დაისვენებს.

აქვე ქართველთა მომავალი მეტოქის შემადგენლობაც: *სტოიკოვიჩი, ივანოვიჩი, სტეპანოვი, ბიშევაცი, ლომიჩი, ბასტა (ვუკშევიჩი 46), ტოდოროვიჩი, მილიაში, კრასიჩი, იანკოვიჩი (ტოშიჩი 65), ჰუროვიჩი.*

**ილია ნანობაშვილი**

# დარდიმანდი ფრანგები უსტვენენ



**საფრანგეთის** ნაკრების მწვრთნელი რაიმონ დომენეკი მთავარი ფრანგული არხის, TF1-ის დოკუმენტალისტებზე გაბრაზდა. ეს ჟურნალისტები ლურჯებთან ერთად ალპებში, საწვრთნელ ბანაკში იმყოფებოდნენ და იქ გადაიღეს რამდენიმე კადრი, სადაც სათაყვანებელი ფეხბურთელები გულმხურვალე ქომაგებს ქვისებრ უტყვი სახეებით ხვდებიან. TF1-ის ჟურნალისტების მტკიცებით, ასეთი ქცევა ფეხბურთელებს გულიდან კი არ ამოსდიოდათ, არამედ ისინი დომენეკის დავალებას ასრულებდნენ.

„ამას ვერ ავიტან. ინფორმაცია ისე იყო მიწოდებული, გეგონება ჩვენ ბუნკერში ვიყავით — ბრძანიდა ყველაფერს დომენეკი — ტყუილია, თითქოს მოთამაშეებს ხალხთან მიკარება ავუკრძალეთ. ჩვენი ფეხბურთელები ქომაგებს ყოველთვის პატივს სცემდნენ. ასეთი ჩანახატების კეთება სკანდალურია და მეტი არაფერი“.

საფრანგეთის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ მცველი ვილი სანიოლი: „ტყუილია, თითქოს ჩვენს შორის დაძაბულობაა და ფეხბურთელები ერთმანეთთან ცუდად არიან. ვიცით, რომ ყველამ ნახა ტელევიზორში ფაბიენ ბარტეზისა და ვიკაშ დორასოს უდარდელი სტვენა „სტად დე ფრანსზე“ მექსიკის ნაკრებთან თამაშის დროს. გიჟები ნუ გეგონებით. სტვენა იმით იყო განპირობებული, რომ თამაშს მხოლოდ და მხოლოდ მოსამზადებელი მნიშვნელობა ჰქონდა და ჩვენ ეს კარგად ვიცოდით. საფრანგეთის ნაკრებში ბევრი ისეთი ფეხბურთელია, რომელთაც საერთაშორისო ტიტული არ მოუპოვებიათ და ამიტომ მოტივაციის ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით“.

**ბაჰუნა ძედია**

# უეინ რუნი შვიდი დღით გადმოწიეს



**ითამაშებს** თუ არა უეინ რუნი მსოფლიო ჩემპიონატზე, ალბათ, 7 ივნისს გახდება ცნობილი. 20 წლის ფორვარდის ფეხი 14 ივნისს უნდა შეემოწმებინათ, მაგრამ ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაც სერ ალექს ფერგიუსონისა და ექიმთა შტაბის შეხვედრის მერე გადაწყდა, რომ ეს ერთი კვირით ადრე რომ გააკეთონ, არაფერი დაშავდება. თუ გაირკვევა, რომ რუნი მუნდიალზე ნაკრებს ვერ დაეხმარება, ერიკსონი მას დროზე შეცვლის.

„ორშაბათის შეხვედრაზე გადაწყდა, რომ სკანირება ერთი კვირით ადრე ჩავატაროთ, ვიდრე დაგეგმილი იყო. ეს საშუალებას მოგვცემს, საჭიროების შემთხვევაში რუნი 9 ივნისამდე შევცვალოთ.“ — აღნიშნა ერიკსონმა.

თუ ექიმები იტყვიან, რომ მანჩესტერელი ვუნდერკინდის მუნდიალზე თამაში შეუძლებელი ან ნაკლებად სავარაუდოა, ერიკსონი მის ნაცვლად, ალბათ, „ტოტენჰემის“ ფორვარდ ჯერმენ დეფოს წაიყვანს.

**კოკი კანდელაკი**

# გულში ბრაზილია, ჯიბეში ესპანეთი

**ლუის არაგონესის მიწვევამ მარკოს სენა სიხარულისგან ლამის გააგიჟა. ხუმრობა ხომ არ არის, ბრაზილიური წარმოშობის ესპანელი მსოფლიოს ჩემპიონატზე მიემგზავრება და გრძნობებს არც მალავს**



მარკოს სენა ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ გადაახტა

„ცხოვრების უბედნიერესი დღე გამითენდა — ამბობს ის — თავს საუცხოოდ ვგრძნობ, რადგან 23 კაცში მოხვედრა ძალიან ძნელი საქმეა, ხოლო მუნდიალის ნაწილად ყოფნა ბედნიერება. ეს უზარმაზარი პირადი წარმატებაა, ოღონდ მასზე გაჩერებას არ ვაპირებ. მინდა შემდეგი ნაბიჯი გადავდგა, იმედი მაქვს, რომ მსოფლიოს ჩემპინატზე მოედანზეც მიხილავთ. კიდევ, ვიმედოვნებ, რომ გოლს გავიტან და ესპანური ფეხბურთის ისტორიაში შევალ“.

აღსანიშნავია, რომ სენასთვის მსოფლიოს ჩემპიონატი მის კარიერაში საუკეთესო სეზონის გვირგვინი იქნება. „ვილიარეალის“ ნახევარმცველმა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე გასვლაში დიდი როლი ითამაშა.

„ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლა ფანტასტიკური შედეგი იყო. ხუმრობა ხომ არ არის, გუნდმა პირველივე ცდიდან ნახევარფინალს უწიოს“ — ამბობს ფეხბურთელი, რომელმაც ესპანური პასპორტი 2005 წლის ივლისში მიიღო და პირველ მარტს კოტ დივუარის ნაკრებთან ახალი სამშობლოს ეროვნული გუნდის მაისურაც მოირგო.

„ეს ჩემი კიდევ ერთი ტრიუმფი იყო. ნაკრებში გამომიძახეს თუ არა, მიზნად იმწუთას, მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლა დავისახე. მუნდიალზე გამგზავრება იყო ის, რისთვისაც მართლა ვიბრძოდი და რაზეც დღე და ღამ ვფიქრობდი. რაც შეეხება პირველ თამაშს, დასამალი რაა, ვნერვიულობდი, მაგრამ მწვრთნელმა დამამშვიდა და საბოლოოდ საკუთარი თამაშით ამაყმა დავტოვე მოედანი“.

სხვათა შორის, მარკოს სენა ყმაწვილკაცი კარგა ხანია აღარ არის. ის რიო დე ჟანეიროში 29 წლის წინ დაიბადა და ფეხბურთელი რომ გახდა, ითამაშა „რიო ბრანკოს“, „ამერიკას“, „კორინთიანსის“, „ჟუვენტუდესა“ და „სან კაეტანოს“ შემადგენლობაში. შემდეგ, როგორც ხედავთ, უკვე კარგად გამოცდილმა მოთამაშემ ატლანტიკის ოკეანე გადაკვეთა და ესპანურ პრიმერადივიზიონში ამოყო თავი. „ვილიარეალმა“ მისი უდავო ნიჭისთვის ფრთების გასაშლელად ყველა პირობა შექმნა.

„ესპანეთში ცხოვრება და თამაში დიდი სიამოვნებაა. აქ თავს აშკარად შინ ვგრძნობ“ — ამბობს სენა.

ახლა, ვიღაცამ შეიძლება იკითხოს, ესპანური პასპორტის აღებით მან ბრაზილიის ნაკრებში მოხვედრის შანსი დაკარგა და ასეთი ნაბიჯის გადადგმა რად უნდოდაო. უნდა გითხრათ, რომ სელესაოს მიღმა დარჩენაზე მას მაინც და მაინც არ უნერვიულია: „ბრაზილიის ნაკრებში არავინ ამიყვანდა, რადგან რეგულარულად დიდ დონეზე თამაში აქ, „ვილიარეალში“ დავიწყე“.

მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ესპანეთისა და ბრაზილიის შესაძლო შეხვედრაზე კი ასე ამბობს:

„არა, ბრაზილიაზე გულში ცუდი არ ჩამიდია და ამ მატჩის შესაძლებლობაზე ბევრს არ ვფიქრობ. თუ ასეთი მატჩი შედგება და მასში მონაწილეობას მივიღებ, გამიხარდება. თუ გოლსაც გავიტან, ვიზეიმებ, თუმცა ბრაზილია მიყვარს, ოღონდ უპირველეს ყოვლისა პროფესიონალი ვარ. თავიდან ბოლომდე, ასი პროცენტით ესპანეთს ვეკუთვნი. მიზნად მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასვლა მაქვს დასახული“.

სენამ, რასაკვირველია კარგად იცის, რომ ესპანეთისგან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასვლას ძალიან ცოტა ხალხი ელის, მაგრამ ურწმუნოებს ასე პასუხობს:

„მაგალითად „ვილიარეალი“ უნდა დავისახოთ. ჩემპიონთა ლიგაში თამაში რომ დავიწყეთ, ვერავინ იფიქრებდა ნახევარფინალამდე თუ შემოვრჩებოდით შეჯიბრებას. გულწრფელად გეუბნებით, ფინალში გასვლა და ჩემპიონობა სრულიად შესაძლო ამბად მესახება“.

და ისევ, ვიღაცამ შეიძლება ხელი ჩაიქნიოს ამ სიტყვების გაგონებაზე, თუმცა ისიცაა, რომ დავა კაცთან, რომელიც სწორედ ასეთი ხელჩაქნეულებისთვის საპირისპიროს დამტკიცებაშია ძლიერი, ცოტა სახიფათოა.

მარკოს სენა რომ წარმატებული კაცია ოჯახზეც ეტყობა.

„საუცხოო ოჯახი მყავს, ჩემები წვრილმან თუ მსხვილმან საქმეში მხარში მიდგანან. და კიდევ, ურყევად მწამს უფლისა. თანაც, ვიცი, რომ ცხოვრებაში როგორც კარგი ასევე ცუდი ადრე თუ გვიან სრულდება. ძნელბედობა უკვე გავიარე და ახლა წარმოუდგენელი აღმავლობის გზაზე ვდგავარ“.

შემდეგ კი გაესპანელებული ბრაზილიელი ესპანეთის ნაკრებსა და გერმანია 2006-ზე ლაპარაკობს.

„ფეხბურთელები ნამდვილად შემართულნი არიან და მოუთმენლად ელიან შეჯიბრების დაწყებას. ვიცით, მსოფლიოს ჩემპიონატი რაღაც განსაკუთრებული იქნება. მინდა ესპანეთის ნაკრების ისტორიაში შევიდე“.

მუნდიალზე ესპანეთის ნაკრები H ჯგუფშია, სადაც მეტოქეებად უკრაინა, საუდის არაბეთი და ტუნისი ჰყავს.

„ბანაკში მეტოქეთა ანალიზით ვართ დაკავებულნი — განაგრძობს სენა — და ქაღალდზე რასაკვირველია ფავორიტები ვართ, მაგრამ ეს ფავორიტობა ჯერ კიდევ დასამტკიცებელი იქნება მოედანზე. ჩვენი სურვილია ესპანელ ქომაგებს საგანგებო ზეიმი მოვუწყოთ. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება პირველი თამაში, რომელზეც დიდადაა დამოკიდებული ჩვენი შემდგომი სულისკვეთება“.

რაულსა და ხავიზე კი „ვილიარეალის“ მოთამაშის აზრი ასეთია: „ჩვენთვის ორივე ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. მათ მწვრთნელი საგანგებოდ ენდობა და სხვათა აზრების გათვალისწინება სულაც არ ევალებათ. თუ რაული და ხავი ასი პროცენტით იქნებიან მზად, ესპანეთის ნაკრები უძლიერესი გუნდი გახდება. ერთადერთი, რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვაკლია, საკუთარი თავის რწმენაა, არადა, ცალ-ცალკე თითოეული ჩვენთაგანი უმაღლესი კლასის მოთამაშეა. მახსოვს, ბრაზილიაში რომ ვცხოვრობდი, ესპანეთი იტალიის, საფრანგეთის, არგენტინის ან თავად ბრაზილიის მსგავსად ფავორიტად მიმაჩნდა და ახლაც მწამს, რომ თუ ჩვენ ჩემპიონობას შევძლებთ, ყველანაირი კომპლექსი წარსულს ჩაბარდება“.

**ბაჰუნა ძედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთის რუკასთან

**იტალიური** „ლაციო“ „პალერმოს“ ნიგერიელ ფორვად სტეფან მაკინვას შეიძენს. დედაქალაქურ გუნდში გადასვლის სურვილი თავად ფეხბურთელმაც გამოთქვა. გარდა ამისა, „ბიანკოჩელესტი“, „ლეჩეს“ პერსპექტიულ ნახევარმცველ კრისტიან ლედესმას ხელში ჩაგდებას ცდილობს.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედი“ „მარსელის“ გარემარბ ფრანკ რიბერის უტრიალებს. „ველოდრომიდან“ წასვლაზე თავად 22 წლის ფეხბურთელიც ფიქრობს. მისით, „წითელი ეშმაკების“ გარდა, „ლიონიც“ დაინტერესებულია.

**იტალიური** „კიევო“ ზაფხულში რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს გაასხვისებს არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობის გამო. მათ შორის არიან ფრანკო სემიოლი და პაოლო სამარკო. პირველის შეძენა „რომას“, „მილანს“, „ინტერსა“ და „ფიორენტინასა“ სურთ, ხოლო მეორე ეგებ ლივორნოელ სეზარ პრატესში გაცვალონ.

**ინგლისური** „ევერტონი“ „კრისტალ პალასის“ მეგოლე ენდი ჯონსონით გაძლიერდება. ბრიტანული პრესის ცნობით, მხარეები დაახლოებით 8,5 მილიონ გირვანქაზე შეთანხმდნენ. ჯონსონმა გასულ სეზონში კარგი თამაშით ეროვნული ნაკრების თავკაცის ყურადღებაც მიიპყრო და იგი სვენ გორან ერიკსონის სამუნდიალო სარეზერვო განაცხადშია.

**ფრანგული** „ოსერის“ მთავარი მწვრთნელი ჟან ფერნანდესი გახდა. მოგეხსენებათ, 51 წლის ფერნანდესი „მარსელის“ თავკაცობიდან ერთი კვირის წინ გადადგა და უმალვე ახალი სამუშაო მოძებნა. „ოსერში“ მან 16 მაისს განთავისუფლებული ჟაკ სანტინი შეცვალა.

### ბრაზილია

**სერია A**
**VIII ტური**

ატლ. პარანენსე — ჟუვენტუდე 1:0; პონტე პრეტა — პარანა 2:5; ფიგეირენსე — ფორტალეზა 0:0; პალმეირასი — გრემიო 0:1; ვასკუ და გამა — სან პაულუ 1:1; ფლუმინენსე — ფლამენგო 1:0; გოიასი — სან კაეტანო 2:0; სანტა კრუზი — ბოტაფოგო 1:1; სანტოსი — კორინთიანსი 2:0; ინტერნასიონალი — კრუზეირო 1:1

### ჩილე

**პრიმერადივიზიონი**
**XVII ტური**

პიგინსი — პალესტინო 0:0; ესპანიოლა — პუერტო მონტი 3:1; კობრელოა — უნივერსიდად დე ჩილე 2:1; იტალიანო — კონსეპსიონი 1:2; უნივერსიდად კათოლიკა — კობრესალი 2:0; უონდერერსი — სან მორნინგი 2:0; რეინჯერსი — ევერტონი 2:0; ლა სერენა — კოკიმბო 2:1; კოლო კოლო — ანტოფაგასტა 3:0

### ამხანაგური მატჩები

**აშშ 1:0 ლატვია**
1:0 მაკბრაიდი (45)

# ბერლუსკონის დამრიგებელი ეტოო
# იყიდეთ დროგბა!





**„მილანიდან“** „ჩელსიში“ წასული ანდრეი შევჩენკოს შეცვლა „როსონერისთვის“ ძნელი რომ იქნება, თქმაც არ უნდა. „სან სიროს“ ბინადრებმა ამაზე ზრუნვა უკვე დაიწყეს და რამდენიმე კანდიდატიც შეუგულებიათ. იტალიური პრესა კი მათ სიას გვთავაზობს: ჩელსელები — დიდიე დროგბა და ერნან კრესპო, კალიარელი დავიდ სუაზო, რეალელი რონალდო, „მანჩესტერ იუნაიტედის“ რუუდ ვან ნისტელროი, „ინტერის“ ფორვარდი ადრიანო, მადრიდის „ატლეტიკოს“ თავდამსხმელი ფერნანდო ტორესი და ტურინის „იუვენტუსის“ ზლატან იბრაჰიმოვიჩი.

აქამდე სიაში ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზე „ბარსელონას“ მეგოლე სამუელ ეტოო გახლდათ, მაგრამ ეს ვარიანტი, ფაქტობრივად, გამოირიცხა. კამერუნელმა საჯაროდ განაცხადა, „მილანით“ დაინტერესებული არ ვარო.

სამუელ ეტოო: „ჩემი აზრით, სილვიო ბერლუსკონი დიდიე დროგბას იყიდის. იგი ახლა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. რა მოხდება, თუ „მილანი“ მე დამიძახებს? პირდაპირ ვეტყვი, რომ დრო ტყუილად არ დაკარგონ.“

ჩამოთვლილი კანდიდატებიდან „მილანს ყველაზე იაფი დავიდ სუაზო დაუჯდება. ჰონდურასელი 8-10 მილიონ ევროდ ფასდება. მან გასული სერია A საოცრად ჩაატარა — 22 გოლი გაიტანა, რითაც „კალიარის“ ისტორიაში ლეგენდარული ლუიჯი რივას რეკორდი დაამხო და ბევრი შედეგიანი პასიც გააკეთა. სუაზო სარდინიელთა უდავო ლიდერია და იგი რამდენიმე გრანდის ყურადღების ცენტრშიც მოექცა.

„ჩემს აგენტს ყოველდღე ვესაუბრები, მაგრამ ახალი ჯერ არაფერია... „კალიარისთან“ კონტრაქტი 2008 წლამდე მაკავშირებს და ყველამ იცის, რომ არსად მეჩქარება, რადგან აქ ბედნიერი ვარ. თუმცა გააჩნია, რა სახის წინადადებას მივიღებ“ — თქვა 26 წლის სუაზომ.

ამჟამად ყველაზე რეალურ კანდიდატად დროგბა მიიჩნევა, რომელსაც „ჩელსიდან“ წასვლა უნდა, თანაც მისმა აგენტმა პიერ ფელოტმა დაადასტურა, რომ „როსონერი“ კოტ დივუარელით ძალიან დაინტერესებულია.

„მილანელები დიდიესადმი დიდ ინტერესს იჩენენ და თავად დროგბაც „სან სიროზე“ სიამოვნებით ითამაშებდა. ვნახოთ, როგორ წარიმართება მოლაპარაკებები“ — აღნიშნა ფელოტმა.

ეს კი დროგბას ცოტა ხნის წინანდელი განცხადებაა: „აქ ბედნიერი არ ვარ. ორი სეზონის განმავლობაში ჩემი პოტენციალის გამოვლენა ვერ შევძელი. რაც შეეხება მომავალ სეზონს და იმას, თუ სად ვითამაშებ, ეს მხოლდ ჩემზე არ არის დამოკიდებული. „ჩელსისთან“ კიდევ ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, ხოლო სხვა კლუბებისგან მისაღები წინადადებები ჯერ არ ჩანს“.

„მილანი“ დაცვის და ნახევარდაცვის გაძლიერებაზეც ფიქრობს. „შავ-წითლები“ ფრანგული „რენის“ შემტევ ნახევარმცველ იოან გურკუფს უტრიალებენ. იგი ივლისში 20 წლის გახდება და ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება.

„მოლაპარაკებები პსჟ-სთან, „ლიონთან“ და „მილანთან“ მიმდინარეობს. თუმცა კონტრაქტი ჯერ არავისთან გამიფორმებია და ამაზე საუბარი ადრეა. ყველაფერი, ალბათ, მას მერე გადაწყდება, რაც ევროპის ოცდაერთწლამდელთა ჩემპიონატიდან დავბრუნდები“ — განაცხადა გურკუფმა.

„მილანის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე კი ვკითხულობთ: „გაზეთებში ბევრი არასწორი ინფორმაცია იბეჭდება და ჩვენთვი სასურველი ფეხბურთელების სია ძალიან გაბერილია. ეს ყველაფერი თეორია და ჭორებია, რეალურად კი თავდასხმაში სამი მოთამაშე გვყავს — ალბერტო ჯილარდინო, ფილიპო ინძაგი და მარსიო ამოროზო. ახლა სწორედ მათზე ვფიქრობთ და „ჯილას“ გაბრწყინებას ველით“.

**გიორგი ძაძაგაძე**

# დაცვას მიხედე, პარეირა, დაცვას!



პარეირას ჟილდო ზაგალომ მიულოცა

**ბრაზილიის** ნაკრების მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა თავისი გუნდის მომზადების პრინციპებს საგულდაგულოდ იცავს და აცხადებს, რომ ამხანაგური თამაშების ნაკლებობა, რასაც მსოფლიოს ჩემპიონებს სერიოზულად საყვედურობენ, სწორი გათვლაა, რამეთუ ახლა ყველაფერს დასვენება სჯობს.

„ის, რაც ბრაზილიაში კრიტიკოსებს აღელვებთ, ჩემთვის სულერთია. მე ვიცი, რომ ჩვენ 100 პროცენტით მზად შევხვდებით ჩემპიონატს. ჩემი ამოცანა ტურნირის მსვლელობისას ყოველ მომდევნო მატჩში უკეთ და უკეთ თამაშია, ისე, რომ ფინალისთვის ყველაზე ძლიერები ვიყოთ“ — განაცხადა პარეირამ, რომელმაც ჟურნალისტებს 12 წლის წინანდელი კოლუმბიის ნაკრები შეახსენა. მოგეხსენებათ, ნაქებ-ნადიდებმა კოლუმბიამ აშშ-94-ზე ჯგუფიდან ვერ გააღწია.

„იგივე შეემთხვა არგენტინას ოთხი წლის წინ“ — დასძინა პარეირამ. შემდეგ მწვრთნელს დაცვაზე ჰკითხეს. საგანგებოდ ძლიერი თავდასხმის პატრონს უკანა ხაზის გამტკიცებაზე ხშირად ესაუბრებიან.

„ბურთს რომ დავკარგავთ, ძალიან მნიშვნელოვანია იწუთასვე დავიბრუნოთ. ეს სწორედ ის ტაქტიკაა, რომელზეც ჩემპიონატის დაწყებამდე ვიმუშავებთ“ — მიუგო პარეირამ, რომელიც ფეხბურთის ისტორიის და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გასული წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა.

**პაპუნა ძედია**

# სკოლარი გათურქდება



**თურქული** გაზეთი „ფანატიკი“ ამტკიცებს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ლუიშ ფელიპე „ფენერბაჰჩეს“ მწვრთნელი გახდება. ბრაზილიელს უკვე მიუცია დასტური და სტამბოლურ კლუბს ჯამაგირზეც მოურიგდა.

სკოლარი პორტუგალიაში წელიწადში 800 ათას ევროს იღებს, „ფენერი“ კი 3 მილიონ 500 ათას გადაუხდის. „დიდმა ფილმა“ ერთი თვის წინ უარი უთხრა ინგლისის ნაკრებს, რომელიც სვენ გორან ერიკსონის ადგილს და სეზონში 5 მილიონ გირვანქას სთავაზობდა.

შეგახსენებთ, რომ „ფენერბაჰჩეს“ გასულ სეზონში კრისტოფ დაუმი წვრთნიდა და მის ხელში გუნდმა ბოლო ტურში დაკარგა თითქმის განაღდებული ჩემპიონობა. გერმანელი ამიტომაც გაუშვეს. სტამბოლური გუნდიდან ნიკოლა ანელკაც აპირებს წასვლას და მის ნაცვლად, ალბათ, ჯიბრილს სისეს მოიყვანენ. სისემ „ლივერპულზე“ გული აიყარა, რაკი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. ბენიტესმა მორიენტესი გაყიდა და ალბათ ფრანგსაც მიაყოლებს.

**რომან თურქია**



# ზი ზუ იატაი

**ზინედინ ზიდანს** ჩინურ სუპერლიგაში კარიერის დასრულება ორმა იქაურმა გუნდმა შესთავაზა — „იატაიმ“ და „გუოანმა“. მათ ზიდანის ფეხბურთიდან წასვლა ნაადრევად ჩაუთვლიათ და უფიქრიათ, ჩვენთან ერთი სეზონით ბურთაობა არ აწყენდაო.

„ზიდანი ჩინეთში საფეხბურთო ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყებაზე ფიქრობს“ — განუცხადა მავან ჩინურ რადიოს „გუოანის“ აგენტმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

როგორც იდუმალი აგენტი ამბობს, ზინედინ ზიდანს მასთან საუბარში უთქვამს, ჩინური კლუბების ჩემით დაინტერესების შემდეგ არ გამოვრიცხავ, კარიერა ამ აზიურ ქვეყანაში დავასრულოო.

ჩინური სუპერლიგა უცხო ქვეყნების ვარსკვლავთა შემოსევას ნაკლებად განიცდის. ბოლო წლებში განთქმული ხალხიდან აზიური გიგანტის ჩემპიონატში კარიერის დასრულების სურვილი სამმა გამოთქვა მხოლოდ, პოლ გესქოინმა, რუბენ სოსამ და გერმანელმა კარსტენ იანკერმა. სინამდვილე კი ისაა, რომ თავად ჩინელი მოთამაშეები, როცა ხელსაყრელ მომენტს დაიგულებენ, უცხოეთში გარბიან ბედის საცდელად.

**ლადო ხომერიკი**

# მონაკო ბოლონია



**ფრანგული** „რენის“ მთავარმა მწვრთნელმა ლასლო ბოლონიმ მომავალი სეზონიდან შესაძლოა, „მონაკო“ ჩაიბაროს. იგი რენელებს 2003 წლის ივნისის მერე თავკაცობს და არცთუ ურიგოდ. გასულ სეზონში პატარა კლუბი ბოლო მომენტამდე ინარჩუნებდა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსს, მაგრამ საბოლოოდ მე-7 ადგილზე გავიდა.

„შესაძლოა, ბოლონი მართლაც აღარ იყოს ჩვენი მწვრთნელი. მან „მონაკოსგან“ წინადადება მიიღო და თუ შეთანხმება მოხერხდება, წავა, ეს ჩვეულებრივი ამბავია. გამოჩნდა უფრო პრესტიჟული და შეძლებული კლუბი, რომელიც მას მიმზიდველ კონტრაქტს სთავაზობს და მე უკეთესის შეთავაზება არ შემიძლია“ — განაცხადა „რენის“ პრეზიდენტმა ემანუელ კუეფმა.

ფრანგული პრესა კი ამტკიცებს, რომ „მონაკოს“ ამჟამინდელი თავკაცი ფრანჩესკო გვიდოლინი პოსტს ვერ შეინარჩუნებს, რადგან იტალიელის მუშაობით კლუბის უფროსობა კმაყოფილი არაა. მართალია, გვიდოლინი „მონაკოს“ წელიწადზე ნაკლები დროის მანძილზე წვრთნიდა, მაგრამ მის ხელში გუნდი ძალიან არადამაჯერებლად თამაშობდა და საბოლოოდ მე-10 ადგილს ვერ ასცდა.

**კოკი კანდელაკი**

# ვილიამ ჩანი ჩაიდგა

**ესპანურმა** „ვილიარეალმა“ „სარაგოსას“ ნახევარმცველ ჩანის ყიდვის ამბავი ოფიციალურად გამოაცხადა. რუბენ გარსია ჩანი „ელ მადრიგალზე“ მომავალი 5 სეზონის განმავლობაში ითამაშებს. „ვილიარეალს“ ჩანის შესაძენად „სარაგოსასთან“ კონტრაქტის გაწყვეტისას გათვალისწინებული თანხის გადახდა მოუწია.

24 წლის რუბენ გარსია „სარაგოსაში“ ნახევარმცველად თამაშობდა და ნაკრების კანდიდატადაც ითვლებოდა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ჩანის „სარაგოსას“ შემადგენლობაში კოპა დელ რეი და ესპანეთის სუპერთასი მოუგია. 2005-06-ის სეზონში არაგონელმა „სარაგოსას“ მაისურით 30 მატჩი გამართა და „ვალენსიას“ და „კადისს“ თითო-თითო გოლიც შეუგდო.

ამასობაში, „ვილიარეალი“ დიეგო ფორლანის შემცვლელ კაცს გამალებით დაეძებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ურუგვაელს „ბარსელონა“ დაეპატრონება და უფორვარდოდ რომ არ დარჩნენ, „ყვითლების“ მესვეურები უკვე აქედანვე აწარმოებენ „ესპანიოლის“ ლუის გარსიასთან მოლაპარაკებას. გარსიამ კატალონიური კლუბის შემადგენლობაში გასულ სეზონში 15 გოლი გაიტანა. თავის დროზე, „მონჟუიკის“ ახლანდელი მეგოლე „მალიორკადან“ იყიდეს 3 მილიონ ევროდ. დღეს „ყვითლებს“ მისი შეძენა უფრო ძვირი დაუჯდებათ. დიეგო ფორლანში კი „ბარსელონა“ 9 მილიონის გადახდას აპირებს. გარდა ამისა, „კამპ ნოუს“ გრანდს და „ყვითლებს“ შორის სატრანსფერო ოპერაციაში, „ბარსამ“ შეიძლება მოტას, სავიოლას და რიკელმეს სახელებიც ჩართოს.

**ლადო ხომერიკი**

# გარსია დაღვინებულა

*ლუის გარსიას სჯერა, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი „ესპანეთის მუნდიალად“ გადაიქცევა. კარგა ხანია, ესპანეთს ასეთი ძლიერი ნაკრები არ ჰყოლია და ამიტომაც უთხრა „ლივერპულის“ თავდამსხმელმა „მარკას“ კორესპონდენტს — გუნდის ყველა ხაზი თანაბრად ძლიერია, მოედანზე და მის გარეთ ჰარმონია სუფევს და გერმანიაშიც წარმატებას უნდა მივაღწიოთო*



— რას ნიშნავს თქვენთვის მსოფლიოს ჩემპიონატი?

— ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. ცხადია, ნებისმიერი მობურთალი პატარაობიდანვე ჯერ ქვეყნის ნაკრებში მოხვედრას, ხოლო შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს ნატრობს. ამ ნატვრის ახდენა მოთამაშისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

**— მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონატი როგორ წარმოგიდგენიათ?**

— არ ვიცი. გულწრფელად გეტყვით, მუნდიალს ისეთი მოლოდინით ვეგებები, რომ შეუძლებელია, ჩვენთვის ცუდი ტურნირი გამოდგეს... კარგია, თუ სანახაობრივად ლამაზი, დაძაბული იქნება და, რა თქმა უნდა, მარცხი შორს ესპანეთისგან.

— მუნდიალი თქვენთვის დროულად მოვიდა? ანუ საუკეთესო ფორმაში მყოფ და დაღვინებულ ლუის გარსიას ვესაუბრებით?

— რაც დრო გადის, ფეხბურთელი მით უფრო იზრდება, როგორც მოთამაშე და პიროვნება. ახლა ფორმაში ვარ, რადგანაც ესპანეთის და განსაკუთრებით ინგლისის ჩემპიონატებში უდიდესი გამოცდილება მივიღე. ორივე ქვეყანაში დიდი ფეხბურთელების გვერდით ვთამაშობდი. პრემიერლიგა პრიმერადივიზიონისგან, რასაკვირველია, განსხვავდება, მაგრამ ინგლისში თავს მაინც შესანიშნავად ვგრძნობ.

**— ინგლისში ესპანეთის ნაკრებსა და პრიმერადივიზიონს როგორ უყურებენ?**

— დაახლოებით ისე, როგორც ჩვენ ინგლისურ ფეხბურთს. ბრიტანეთში ხშირად ადევნებენ ტელევიზიით თვალს პრიმერას თამაშებს და ამბობენ, რომ ჩვენი ჩემპიონატი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. ყველა მნიშვნელოვან მატჩს უყურებენ და, რა თქმა უნდა, არც „ბარსა“ — „რეალის“ ჯახი გამორჩებათ ხოლმე. ინგლისში ხალხი ფეხბურთით ცოცხლობს და ჩემპიონთა ლიგის დროს ქვეყანაში ნამდვილი ინჩასური ქარიშხალი იწყება... ჩვენ, ესპანელებს, ესპანური კლუბებისა და ნაკრების შესახებ ბევრს გვეკითხებიან. ამბობენ, რომ ინგლისი და ესპანეთი მუნდიალებზე ერთ ბედქვეშ ვართ — სულ ძლიერი გუნდები გვყავს, მაგრამ გამარჯვებას ვერ ვაღწევთ. ლივერპულში, ლონდონში, მანჩესტერსა და მთელ ბრიტანეთში იქაური ფანების უმეტესობა ესპანეთის ნაკრებს პატივს სცემს.

**— რა სარგებელს მოგვიტანს ამდენი ესპანელი ფეხბურთელის საზღვარგარეთულ ლიგებში თამაში?**

— ახლებურად თამაშს ვსწავლობთ და საჭირო გამოცდილებას ვიძენთ. ესპანურისგან განსხვავებულ ლიგებში რომ ვბურთაობთ, ამაში ცუდი არაფერია, პირიქით, ინგლისში თუ სხვა ქვეყნებში მიღებული გამოცდილება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების დროს გამოგვადგება.

**— ფეხბურთელთა კარგი ბირთვი თუ გვყავს იმისთვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებას მივაღწიოთ?**

— დიახ. მთელი ქვეყანა ახლანდელი ნაკრებისგან რაღაც შესანიშნავს ელოდება. ჩვენს გუნდში ვეტერანთა გამოცდილება და ახალგაზრდათა ძალა ისე შეერწყა ერთმანეთს, როგორც არასდროს. ამას უცხო ლიგებიდან მოსული ლეგიონერებიც დავუმატოთ და დარწმუნებული ვარ, რომ ესპანეთი ბოლოს და ბოლოს მუნდიალზე უმედლოდ არ დარჩება.

**— სლოვაკეთთან პლეიოფში სამი გოლი გაიტანეთ. ამან პირადად თქვენ და გუნდიც მორალურადაც გაგამხნევათ...**

— გეთანხმებით. სლოვაკეთთან შესრულებული ჰეთ თრიქის შემდეგ უფრო მივხვდი, რა სარგებლობის მოტანა შემიძლია ნაკრებისთვის. ეროვნულ გუნდში ჩემს საქმეს შეძლებისდაგვარად კარგად ვაკეთებ და არცაა გასაკვირი, ლუის არაგონესის პროექტში ჩემი ადგილი რომ მაქვს.

**— როგორც ფეხბურთელი, სულ რამდენიმე წელიწადში დიდად დაწინაურდით — ახლა სხვანაირ ლუის გარსიას ვხედავთ, ნაკლებად ესპანურს და უფრო მობილიზებულს. ამის შესახებ რას გვეტყვით?**

— მრავალი კარგი ფეხბურთელის მხარდამხარ მითამაშია და ცოტ-ცოტა რაღაც ყველასგან ვისწავლე. „ბარსელონაში“ რონალდოს, ხავისა და პუიოლის გვერდით ვიყავი, „ატლეტიკოში“ ემერსონთან და ალბერტინისთან... ყველას გულდასმით ვაკვირდებოდი და ფეხბურთის შეცნობაში ეს დამეხმარა. [illegible] სიახლოვე არც ინგლისამდე მაკლდა, „ლივერპულში“ კი ფენომენალურ მწვრთნელს, რაფაელ ბენიტესს შევხვდი. მან მომანიჭა თავისუფლება, მოედანზე გამოვსულიყავი და ჩემს სტილში მეთამაშა.

**— თქვენი გოლები განსხვავებული და ძალიან ლამაზია, ბრაზილიურებს ჰგავს...**

— ბედმა გამიღიმა და ინგლისში მნიშვნელოვან მატჩებში ლამაზი გოლები გავიტანე. ცოტა ხნის წინ სტივ ჯერარდმა მითხრა, შენ ურთულესი გოლები შეყარე, ხოლო რაც ადვილად გასატანი იყო, ის აცილეო... ასეც ხდება, ასპროცენტიანი მომენტებისას ბურთს ღრუბლებში ვაგზავნი, ხან კიდევ გოლს რაღაც სასწაულიდან გამოვაცხობ. საბოლოოდ, ყველაზე მთავარია, ბურთი კარში შევიდეს და შენმა გუნდმა გაიმარჯვოს.

**— თქვენი აზრით, ესპანეთის ნაკრები გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატის მოგებას მოახერხებს?**

— იმედი მაქვს, ამას შევძლებთ. რამდენადაც მეტ მატჩს ჩავატარებთ მსოფლიოს ჩემპიონატზე, გუნდი მით უფრო გაძლიერდება. შორს რომ არ წავიდეთ, შესარჩევი ეტაპი გაიხსენეთ, ნაკრებმა მაშინ თანდათანობით უმატა თამაშს. მატჩის დროს მოედანზე ათასი რამ შეიძლება, მოხდეს. როცა ჯგუფს გავცდებით, რეალურად მაშინ გამოჩნდება, რისი გამკეთებლები ვართ. თუმცა პირველი მატჩი უკრაინასთან უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან იქიდან მოყოლებული მთელ მსოფლიოს ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა დავუმტკიცოთ, ხელწამოსაკრავი გუნდი რომ არ გვყავს.

# ისე ითამაშოს, როგორც ლაპარაკობს

## არგენტინულმა მაფიამ ადრიანო თამაშგარეთ დატოვა





მასიმო მორატი

**მილანის** „ინტერის" მფლობელი მასიმო მორატი ისევ ფაბიო კაპელოზე ოცნებობს. მართალია, მან უკვე ბევრჯერ თქვა, ჩვენი მწვრთნელი მომავალ სეზონშიც რობერტო მანჩინი იქნებაო, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება, თუ ვთქვათ, „იუვენტუსს" სერია B-ში დააქვეითებენ და კაპელო ტურინელთა მწვრთნელის პოსტს დატოვებს.

იტალიაში იმასაც ამბობენ, მორატის გუნდში ჟოზე მაურინიუს მოყვანა გადაუწყვეტია და ამისთვის ფულს არ დაიშურებსო. თუმც ეს შესაძლოა, 2007-08 წლების სეზონში მოხდეს, თუ მანჩინი ისევ ვერ მოიგებს სკუდეტოს ან ჩემპიონთა ლიგას, ხოლო მაურინიუს „ჩელსიში" საქმეები კარგად არ წაუვა. პორტუგალიელმა ცოტა ხნის წინ მოკლედ და კონკრეტულად განაცხადა ამ ზაფხულს „ინტერში" არ მივდივარო.

„კაპელოს მოყვანა რამდენჯერმე ვცადე და მიზანთან ახლოსაც ვიყავი, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოვიდა. ვინ იცის, იქნებ ეს მომავალში მაინც მოხდეს" — თქვა მორატიმ.

„ნეროაძურის" მმართველს ტრანსფერებზეც ჰკითხეს, მაგრამ მან კონკრეტულ ფეხბურთელებზე საუბარს თავი აარიდა — რაც მოხდება, მერე ნახავთო. ცნობილია, რომ მორატი განსაკუთრებულ ცვლილებებს არ გეგმავს და აქცენტს იტალიელ მოთამაშეებზე გააკეთებს.

მასიმო მორატი: „გუნდმა გასულ სეზონში კიდევ ერთი გაკვეთილი მიიღო და იმედია, იგივე შეცდომებს აღარ გავიმეორებთ. ფეხბურთელების ხშირ-ხშირი ცვლა კი სარგებელს არ მოგვიტანს. თანაც, რობერტო მანჩინის ამ მოთამაშეების სჯერა და მეც არ მინდა, ბევრი ცვლილება მოვახდინო".

ამბობდნენ, „იუვენტუსიდან" წასული და სკანდალში გახვეული ტრანსფერების გურუ ლუჩანო მოჯი „ინტერში" გადაბარგდებაო. მეტიც, ხმები დაირხა, მხარეებს უკვე წინასწარ შეთანხმებაზეც აქვთ ხელი მოწერილიო, მაგრამ მორატიმ ეს ინფორმაცია არ დაადასტურა, თუმცა მოჯის გუნდში გამოჩენაც არ გამორიცხა.

„თუ მოჯი ჩვენთან მუშაობას ისურვებს, ვერ ვიტყვი, რომ უარზე ვიქნები. ეს საინტერესო იდეაა, მაგრამ არანაირი შეთანხმება არ გვქონია" — აღნიშნა მორატიმ.

ლაპარაკია ლუკა ტონის „ინტერში" შესაძლო გადასვლაზეც და ეს ცოტა ხნის წინ არც თავად ფეხბურთელმა გამორიცხა. თუმცა „ფიორენტინას" მფლობელი ანდრეა დელა ვალე ისევ ირწმუნება, ტონის არსად გავუშვებთ და მის პრეტენზიებს მსოფლიოს ჩემპიონატის მერე მოვისმენთო. გავრცელებული ცნობით, სერია A-ს გასულ სეზონში 31 გოლის გამტან ფორვარდს უკეთესი კონტრაქტის გაფორმება უნდა.

„თუ ტონის ტრანსფერზე დააყენებენ, ყველაფერს გავაკეთებ, რათა იგი ვიყიდო. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, „ფიორენტინასაც" უნდა შევეშვათ და ლუკასაც. თუმცა რაც არ უნდა მოხდეს, ეს ადრიანოს არ უკავშირდება. იგი გუნდში რჩება. უბრალოდ, მას რთული სეზონი ჰქონდა და ამის გამო ხაზი არ უნდა გადავუსვათ" — დასძინა მორატიმ.

აქვე, ადრიანოს და ხუან სებასტიან ვერონის კონფლიქტიც ვახსენოთ. ახლახან ვერონმა ეს უთანხმოება კიდევ უფრო გააღრმავა, როცა ჟურნალისტებთან საუბრისას ბრაზილიელი ისევ გააკრიტიკა.

„იგი მართლაც ისე რომ თამაშობდეს, როგორც ლაპარაკობს, „ინტერს" სულ მცირე, ერთი სკუდეტო უკვე მოგებული ექნებოდა. ადრიანო თავის თავზე ზედმეტს იღებს და მას ხშირად სხვებიც ზედმეტად აფასებენ. იგი არც რონალდოა და არც რონალდინიო" — განაცხადა ვერონმა.

თავის მხრივ, ადრიანომ ცოტა ხნის წინ აღნიშნა, რომ მას „ინტერში" არგენტინული მაფია ავიწროვებს და ამის გამო სათანადოდ ველარ თამაშობს. მოგეხსენებათ, „ნეროაძურიში" ბევრი არგენტინელი ლეგიონერია და ადრიანოსთან კარგი ურთიერთობა არც ერთს არ აქვს.

და ბოლოს, ვერონს დავუბრუნდეთ, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია, დარჩეს თუ არა მომავალ სეზონშიც „ინტერში". იგი სამშობლოში დაბრუნებაზე და კარიერის დასრულებაზე ფიქრობს.

ხუან სებასტიან ვერონი: „კლუბის უფროსობა დარჩენას მთხოვს. გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც სამშობლოში დავბრუნდები. ჩემს ცოლს და ბავშვებს გული არგენტინისკენ მიუწევთ და გამუდმებით ამას მახსენებენ. ჩემთვისაც სამშობლო და „რივერ პლეიტი" ბევრს ნიშნავს, მაგრამ „რივერისგან" ჯერ არაფერი ისმის. ალბათ, დაახლოებით ერთ კვირაში უფრო ზუსტად მეცოდინება, რას ვიზამ".

**გოგი კანდელაკი**

# შპალერად გაკრული ვან ბასტენი

## კეჟმანის ია და იტალია



**„ლა გაძეტა დელო სპორტის"** ცნობით, იტალიური „ფიორენტინა" მომავალი სეზონისთვის მადრიდის „ატლეტიკოს" სერბი ფორვარდის, მატეა კეჟმანის შეძენას აპირებს. იტალიელები მზად არიან, ესპანელებს კეჟმანის სანაცვლოდ 6 მილიონი ევრო გადაუხადონ. სერბი 2005-06-ის სეზონში უიღბლო ბურთაობის მიუხედავად, მაინც მაღალ ფასს ინარჩუნებს. კეჟმანმა „ატლეტიკოს" ფორმით გამართულ 30 თამაშში ოდენ 8 გოლი შეაგდო, რაც მისი დონის მეგოლესთვის ფრიად მცირე მონაგარია.

სერბი ყოველთვის აცხადებდა, რომ იტალიური ფეხბურთი მოსწონს. მედიის ცნობით, კეჟმანს თავის ოთახის კედელზე რომელიმე მადრიდელი ლეგენდის კი არა, „მილანის" მარკო ვან ბასტენის პოსტერი აქვს გამოკრული. იქვეა ჩამოკიდებული მანჩინის „ლაციოში" თამაშისდროინდელი მაისურა. თანაც მატეა აპენინური სამზარეულოს და კულტურის დიდი თაყვანისცემელიც ყოფილა.

„ატლეტიკოში" კი აცხადებენ, რომ „ვისენტე კალდერონის" არც ერთი ძირითადი ვარსკვლავი არ იყიდება, ოღონდ თუ შემოთავაზება სარფიანია... ყოველ შემთხვევაში, ხსენებული 6 მილიონი, ალბათ, სავსებით საკმარისია „ატლეტიკოსთვის". „ფიორენტინამ" საამსეზონოდ სერია A მეოთხე ადგილზე დაამთავრა, და „იები" გაისად ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშებენ. „ოქროს ბუცის" მფლობელ ლუკა ტონიზე აპენინურ გრანდთა შორის სატრანსფერო ომია გაჩაღებული. ასე რომ, თუ ტონი მავანმა დიდმა კლუბმა მიიტაცა „ფიორენტინაში" უმალ მატეა კეჟმანზე იფიქრებენ.

სერბმა მოიერიშემ კი ნაკრებთან ერთად შაბათს ურუგვაის ეროვნულ გუნდთან ითამაშა ამხანაგურად. კეჟმანს გოლი არ შეუგდია, მაგრამ სახიფათო დარტყმებით ოკეანისგაღმელთა კარი აიკლო. „ატლეტიკოს" ფორვარდი დამდეგ მუნდიალზე ილია პეტკოვიჩის ნაკრების ერთ-ერთი იმედია. თუ კეჟმანმა მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგად ითამაშა, „ფიორენტინას" და სხვა კლუბებს მისი ყიდვისთვის ჯიბეზე უფრო გულუხვად მოუწევთ ხელის გაკვრა.

**ლადო ხომერიკი**



# ფასდაკლება ლამპარდზე

**კატალონიურ** „ბარსელონას" შეუძლია, ფრენკ ლამპარდი... 6 მილიონ ევროდ იყიდოს! „სტემფორდ ბრიჯის" ვარსკვლავს ამჟამინდელი ხელშეკრულებით „ჩელსიში" 2008 წლამდე უწევს ყოფნა, თუმცა მისი კონტრაქტის გაუქმება, ფიფას წესებით, თურმე 6 მილიონ ევროდ შეიძლება და, ცხადია, ყოჩაღ ინგლისელზე მონადირე ბარსელონელი აგენტები ამის გამოყენებას შეეცდებიან. „ჩელსი" კი დროს არ კარგავს და ფრენკ ლამპარდის „სტემფორდ ბრიჯზე" „დაბმას" ასტრონომიული ხელფასის შეთავაზებით აპირებს. **NEWS OF THE WORLD**-ის მიხედვით, რომან აბრამოვიჩის კლუბი მზადაა, ფეხბურთელს კვირაში 200 ათასი ევრო გადაუხადოს, რაც წელიწადში დაახლოებით 10 მილიონს შეადგენს.

გუშინ ლამპარდის აგენტი სტივ კატნერი „ჩელსის" აღმასრულებელ დირექტორ პიტერ კინიონს შეხვედრია და ფეხბურთელის მომავალ ჯამაგირზე უსაუბრიათ. ხელფასზე მოლაპარაკება შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდეს. დრო კი არ ითმენს. ლამპარდს „ბარსელონა" უკვე შინ ჰყავს — ფრენკის მეუღლე კატალონიელი და „ბარსას" თავგადაკლული ინჩასია...

**ლადო ხომერიკი**

# მსოფლიოს თასი
# გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

## მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიიდან. E ჯგუფი: იტალია, განა, აშშ, ჩეხეთი

### იტალია

**1934 იტალია**

მერვედფინალი
იტალია 7:1 აშშ
მეოთხედფინალი
იტალია 1:0 ესპანეთი
ნახევარფინალი
იტალია 1:0 ავსტრია
ფინალი
იტალია 2:1 ჩეხოსლოვაკია

**1938 საფრანგეთი**

მერვედფინალი
იტალია 2:1 ნორვეგია
მეოთხედფინალი
იტალია 3:1 საფრანგეთი
ნახევარფინალი
იტალია 2:1 ბრაზილია
ფინალი
იტალია 4:2 უნგრეთი

**1950 ბრაზილია**

I ჯგუფური ეტაპი
შვედეთი 3:2 იტალია
იტალია 2:0 პარაგვაი

**1954 შვეიცარია**

ჯგუფური ეტაპი
შვეიცარია 2:1 იტალია
იტალია 4:1 ბელგია
გადათამაშება მეორე ადგილისთვის
იტალია 1:4 შვეიცარია

**1962 ჩილე**

ჯგუფური ეტაპი
გფრ 0:0 იტალია
ჩილე 2:0 იტალია
იტალია 3:0 შვეიცარია

**1966 ინგლისი**

ჯგუფური ეტაპი
სსრკ 1:0 იტალია
იტალია 2:0 ჩილე
კსდრ 1:0 იტალია

**1970 მექსიკა**

ჯგუფური ეტაპი
იტალია 1:0 შვედეთი
ურუგვაი 0:0 იტალია
იტალია 0:0 ისრაელი
მეოთხედფინალი
იტალია 4:1 მექსიკა
ნახევარფინალი
იტალია 4:3 გფრ
ფინალი
ბრაზილია 4:1 იტალია

**1974 გერმანია**

I ჯგუფური ეტაპი
იტალია 3:1 ჰაიტი
იტალია 1:1 არგენტინა
პოლონეთი 2:1 იტალია

**1978 არგენტინა**

I ჯგუფური ეტაპი
იტალია 3:1 უნგრეთი
იტალია 2:1 საფრანგეთი
იტალია 1:0 არგენტინა
II ჯგუფური ეტაპი
იტალია 0:0 გფრ
ჰოლანდია 2:1 იტალია
იტალია 1:0 ავსტრია



1994 წელი. ბაჯომ ტაფარელის კარს ააცილა

მატჩი მესამე ადგილისთვის
ბრაზილია 2:1 იტალია

**1982 ესპანეთი**

I ჯგუფური ეტაპი
იტალია 0:0 პოლონეთი
იტალია 1:1 პერუ
იტალია 1:1 კამერუნი
II ჯგუფური ეტაპი
იტალია 2:1 არგენტინა
იტალია 3:2 ბრაზილია
ნახევარფინალი
იტალია 2:0 პოლონეთი
ფინალი
იტალია 3:1 გფრ

**1986 მექსიკა**

ჯგუფური ეტაპი
ბულგარეთი 1:1 იტალია
იტალია 1:1 არგენტინა
იტალია 3:2 სამხრეთ კორეა
მერვედფინალი
საფრანგეთი 2:0 იტალია

**1990 იტალია**

ჯგუფური ეტაპი
იტალია 1:0 ავსტრია
იტალია 2:0 ჩეხოსლოვაკია
იტალია 1:0 აშშ
მერვედფინალი
იტალია 2:0 ურუგვაი
მეოთხედფინალი
იტალია 1:0 ირლანდია
ნახევარფინალი
არგენტინა 1:1(პენ.4:3) იტალია
მატჩი მესამე ადგილისთვის
იტალია 2:1 ინგლისი

**1994 აშშ**

ჯგუფური ეტაპი
იტალია 0:1 ირლანდია
იტალია 1:0 ნორვეგია
იტალია 1:1 მექსიკა
მერვედფინალი
ნიგერია 1:2 იტალია
მეოთხედფინალი
იტალია 2:1 ესპანეთი
ნახევარფინალი
იტალია 2:1 ბულგარეთი
ფინალი
ბრაზილია 0:0(პენ.3:2) იტალია

**1998 საფრანგეთი**

ჯგუფური ეტაპი
იტალია 2:2 ჩილე
იტალია 3:0 კამერუნი
იტალია 2:1 ავსტრია
მერვედფინალი
იტალია 1:0 ნორვეგია
მეოთხედფინალი
იტალია 0:0(პენ.3:4) საფრანგეთი

**2002 კორეა-იაპონია**

ჯგუფური ეტაპი
იტალია 2:0 ეკვადორი
იტალია 1:2 ხორვატია
მექსიკა 1:1 იტალია
მერვედფინალი
იტალია 1:2 სამხრეთ კორეა

### განა

დებიუტანტი

### აშშ

**1930 ურუგვაი**

ჯგუფური ეტაპი
აშშ 3:0 ბელგია
აშშ 3:0 პარაგვაი
ნახევარფინალი
არგენტინა 6:1 აშშ

**1934 იტალია**

მერვედფინალი
იტალია 7:1 აშშ

**1950 ბრაზილია**

ჯგუფური ეტაპი
ესპანეთი 3:1 აშშ
აშშ 1:0 ინგლისი
ჩილე 5:2 აშშ

**1990 იტალია**

ჯგუფური ეტაპი
ჩეხოსლოვაკია 5:1 აშშ
იტალია 1:0 აშშ
ავსტრია 2:1 აშშ

**1994 აშშ**

ჯგუფური ეტაპი
აშშ 1:1 შვეიცარია
აშშ 0:1 რუმინეთი
აშშ 2:1 კოლუმბია
მერვედფინალი
ბრაზილია 1:0 აშშ

**1998 საფრანგეთი**

ჯგუფური ეტაპი
გერმანია 2:0 აშშ
აშშ 1:2 ირანი
აშშ 0:1 იუგოსლავია

**2002 კორეა-იაპონია**

ჯგუფური ეტაპი
აშშ 3:2 პორტუგალია
სამხრეთ კორეა 1:1 აშშ
პოლონეთი 3:1 აშშ
მერვედფინალი
მექსიკა 0:2 აშშ
მეოთხედფინალი
გერმანია 1:0 აშშ

### ჩეხეთი (ჩეხოსლოვაკია)

**1934 იტალია**

მერვედფინალი
ჩეხოსლოვაკია 2:1 რუმინეთი
მეოთხედფინალი
ჩეხოსლოვაკია 3:2 შვეიცარია
ნახევარფინალი
ჩეხოსლოვაკია 3:1 გერმანია
ფინალი
იტალია 2:1 ჩეხოსლოვაკია

**1938 საფრანგეთი**

მერვედფინალი
ჩეხოსლოვაკია 3:0 ჰოლანდია
მეოთხედფინალი
ბრაზილია 2:1 ჩეხოსლოვაკია

**1954 ბრაზილია**

ჯგუფური ეტაპი
ავსტრია 5:0 ჩეხოსლოვაკია
ურუგვაი 2:0 ჩეხოსლოვაკია

**1958 შვეიცარია**

ჯგუფური ეტაპი
ჩრდ. ირლანდია 1:0 ჩეხოსლოვაკია
გფრ 2:2 ჩეხოსლოვაკია
ჩეხოსლოვაკია 6:1 არგენტინა
გადათამაშება მეორე ადგილისთვის
ჩრდ. ირლანდია 2:1 ჩეხოსლოვაკია

**1962 ჩილე**

ჯგუფური ეტაპი
ჩეხოსლოვაკია 1:0 ესპანეთი
ბრაზილია 0:0 ჩეხოსლოვაკია
მექსიკა 3:1 ჩეხოსლოვაკია
მეოთხედფინალი
ჩეხოსლოვაკია 1:0 უნგრეთი
ნახევარფინალი
ჩეხოსლოვაკია 3:1 იუგოსლავია
ფინალი
ბრაზილია 3:1 ჩეხოსლოვაკია

**1970 მექსიკა**

ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 4:1 ჩეხოსლოვაკია
რუმინეთი 2:1 ჩეხოსლოვაკია
ინგლისი 1:0 ჩეხოსლოვაკია

**1982 ესპანეთი**

ჯგუფური ეტაპი
ჩეხოსლოვაკია 0:1 ქუვეითი
საფრანგეთი 1:1 ჩეხოსლოვაკია
ინგლისი 2:0 ჩეხოსლოვაკია

**1990 იტალია**

ჯგუფური ეტაპი
ჩეხოსლოვაკია 1:0 ავსტრია
ჩეხოსლოვაკია 5:1 აშშ
იტალია 2:0 ჩეხოსლოვაკია
მერვედფინალი
ჩეხოსლოვაკია 4:1 კოსტა რიკა
მეოთხედფინალი
გფრ 1:0 ჩეხოსლოვაკია

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 283 | ტრომსდალენი-პიონერსი | 2.55 | 3.30 | 2.35 | 1.43 | 1.22 | 1.37 |
| | | **ფინეთი. 1 ივნისი** | | | | | | |
| 19:30 | 68 | ჰაკა-ლაჰტი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:30 | 69 | კუოპიო-ჰონკა | 2.85 | 3.10 | 2.25 | 1.48 | 1.25 | 1.30 |
| 19:30 | 70 | მარიეჰამნი-ინტერი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 19:30 | 71 | მიუპა-იარო | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 19:30 | 72 | ტურკუ-კტპ | 1.90 | 3.30 | 3.55 | 1.20 | 1.23 | 1.71 |
| 19:30 | 73 | ვპს-ჰიკ | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **30 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 126 | ჩეხეთი-კოსტა რიკა | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 20:00 | 127 | ლიბია-ურუგვაი(ნ) | 6.00 | 3.70 | 1.50 | 2.28 | 1.20 | 1.06 |
| 20:00 | 128 | პოლონეთი-კოლუმბია | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 23:00 | 129 | არგენტინა-ანგოლა(ნ) | 1.32 | 4.10 | 8.20 | 1.00 | 1.13 | 2.73 |
| 22:30 | 130 | გერმანია-იაპონია | 1.40 | 3.80 | 6.80 | 1.02 | 1.16 | 2.43 |
| 22:45 | 131 | ჩილე-კოტ დივუარი(ნ) | 3.50 | 3.10 | 1.95 | 1.64 | 1.25 | 1.19 |
| 22:45 | 132 | ტუნისი-ბელარუსი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 23:05 | 133 | ინგლისი-უნგრეთი | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 134 | ირანი-ბოსნია | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 22:00 | 135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 5.50 | 3.40 | 1.55 | 2.10 | 1.20 | 1.06 |
| 22:45 | 136 | შვეიცარია-იტალია | 3.30 | 3.10 | 2.05 | 1.59 | 1.26 | 1.23 |
| 22:15 | 137 | სლოვენია-ტრინიდადი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 23:00 | 138 | საფრანგეთი-დანია | 1.55 | 3.40 | 5.80 | 1.06 | 1.22 | 2.14 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 19:00 | 124 | ესტონეთი-ახალი ზელანდია | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 21:00 | 139 | ნორვეგია-სამხრეთ კორეა | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 22:00 | 140 | ჰოლანდია-მექსიკა | 1.65 | 3.40 | 4.90 | 1.11 | 1.23 | 2.00 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10124 | ესტონეთი-ახალი ზელანდია | 2.15 | 2.00 | 5.00 | 1.03 | 1.50 | 1.42 |
| 10126 | ჩეხეთი-კოსტა რიკა | 1.65 | 2.40 | 7.00 | 1.00 | 1.33 | 1.78 |
| 10127 | ლიბია-ურუგვაი(ნ) | 5.70 | 2.10 | 1.90 | 1.53 | 1.42 | 1.00 |
| 10128 | პოლონეთი-კოლუმბია | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10129 | არგენტინა-ანგოლა(ნ) | 1.60 | 2.40 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.81 |
| 10130 | გერმანია-იაპონია | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10131 | ჩილე-კოტ დივუარი(ნ) | 3.80 | 1.90 | 2.40 | 1.26 | 1.47 | 1.06 |
| 10132 | ტუნისი-ბელარუსი | 2.10 | 2.00 | 5.20 | 1.02 | 1.49 | 1.44 |
| 10133 | ინგლისი-უნგრეთი | 1.60 | 2.40 | 7.00 | 1.00 | 1.30 | 1.78 |
| 10134 | ირანი-ბოსნია | 2.20 | 2.00 | 4.70 | 1.04 | 1.49 | 1.40 |
| 10135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 5.00 | 2.00 | 2.00 | 1.42 | 1.42 | 1.00 |
| 10136 | შვეიცარია-იტალია | 3.80 | 1.90 | 2.50 | 1.26 | 1.50 | 1.07 |
| 10137 | სლოვენია-ტრინიდადი | 2.45 | 1.90 | 4.00 | 1.07 | 1.51 | 1.28 |
| 10138 | საფრანგეთი-დანია | 1.90 | 2.10 | 5.50 | 1.00 | 1.41 | 1.51 |
| 10139 | ნორვეგია-სამხრეთ კორეა | 2.55 | 1.90 | 3.45 | 1.08 | 1.46 | 1.22 |
| 10140 | ჰოლანდია-მექსიკა | 2.05 | 2.00 | 5.40 | 1.01 | 1.48 | 1.45 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11124 | ესტონეთი-ახალი ზელანდია | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11126 | ჩეხეთი-კოსტა რიკა | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11127 | ლიბია-ურუგვაი(ნ) | 10.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | 2.00 |
| 11128 | პოლონეთი-კოლუმბია | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11129 | არგენტინა-ანგოლა(ნ) | 1.60 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11130 | გერმანია-იაპონია | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11131 | ჩილე-კოტ დივუარი(ნ) | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11132 | ტუნისი-ბელარუსი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 7.50 |
| 11133 | ინგლისი-უნგრეთი | 1.60 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11134 | ირანი-ბოსნია | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 10.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.90 |
| 11136 | შვეიცარია-იტალია | 4.80 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11137 | სლოვენია-ტრინიდადი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11138 | საფრანგეთი-დანია | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11139 | ნორვეგია-სამხრეთ კორეა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11140 | ჰოლანდია-მექსიკა | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| | | **ჩოგბურთი** | | |
| | | **კაცები** | | |
| | | **Roland Garros** | | |
| | | **30 მაისი** | | |
| 13:00 | 217 | მახუტი-ვანეკი | 1.80 | 1.80 |
| 13:00 | 218 | ო როხუსი-ფაურელი | 1.11 | 4.30 |
| 13:00 | 219 | ბაგდატისი-პორტასი | 1.35 | 2.40 |
| 13:00 | 220 | ტიპსარევიჩი-ბენეტო | 1.80 | 1.80 |
| 13:00 | 223 | დ ფერერი-გარსია ლოპესი | 1.20 | 3.30 |
| 13:00 | 224 | ბიორკმანი-ჩარდი | 1.90 | 1.65 |
| 13:00 | 225 | რამირეს იდალგო-აკიონი | 1.35 | 2.80 |
| 13:00 | 226 | ტ იოჰანსონი-კ როხუსი | 1.80 | 1.80 |
| 13:00 | 227 | ვერდასკო-ჩელა | 1.60 | 1.95 |
| 13:00 | 229 | ფ გონსალესი-საფინი | 1.55 | 2.10 |
| 13:00 | 284 | როდიკი-ა მარტინი | 1.70 | 1.90 |
| 13:00 | 285 | ლიუბიჩიჩი-ბერლოკი | 1.11 | 4.70 |
| 13:00 | 286 | მონფილსი-მიურეი | 1.65 | 2.05 |
| 13:00 | 287 | ხაასი-შუტლერი | 1.30 | 2.85 |
| 13:00 | 288 | ვისენტე-ვასკე | 1.50 | 2.20 |
| 13:00 | 289 | ხორნა-ჯოკოვიჩი | 1.85 | 1.75 |
| 13:00 | 290 | ჰიუიტი-გერნიხი | 1.45 | 2.25 |
| 13:00 | 291 | დანიელი-მონტერი | 1.40 | 2.55 |
| 13:00 | 292 | კარლოვიჩი-პატიენსი | 1.60 | 2.05 |
| 13:00 | 293 | მატიო-ფაუ | 1.20 | 3.70 |
| 13:00 | 294 | სერა-ვიკი | 1.50 | 2.20 |
| 13:00 | 295 | საბაუ-კინდლმანი | 1.90 | 1.65 |
| 13:00 | 296 | მონაკო-ვან გემერდენი | 1.35 | 2.80 |
| 13:00 | 297 | სიმონი-ო ერნანდესი | 1.30 | 3.00 |
| 13:00 | 298 | მასა-დ ნორმანი | 1.55 | 2.10 |
| 13:00 | 299 | ხრბატი-როიტმანი | 1.30 | 3.00 |

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| | | **ჩოგბურთი.ქალები.Roland Garros** | | |
| | | **30 მაისი** | | |
| 13:00 | 234 | ასაგოე-პერი | 1.80 | 1.80 |
| 13:00 | 235 | ფედაკი-ბრანდი | 1.45 | 2.20 |
| 13:00 | 236 | გოლოვინი-ჩენგი | 1.90 | 1.65 |
| 13:00 | 237 | გრენეფელდი-პინი | 1.15 | 3.50 |
| 13:00 | 241 | ივანოვიჩი-სტოსური | 1.30 | 2.50 |
| 13:00 | 242 | კამერინი-გალიარდი | 1.45 | 2.30 |
| 13:00 | 244 | კირილენკო-ბრემონდი | 1.15 | 3.80 |
| 13:00 | 246 | კუკალოვა-გარბინი | 1.60 | 2.10 |
| 13:00 | 248 | მისკინა-მირზა | 1.25 | 3.00 |
| 13:00 | 249 | პასკუალი-კორნე | 1.40 | 2.40 |
| 13:00 | 250 | პეტროვა-მორიგამი | 1.04 | 5.50 |
| 13:00 | 251 | პეშკე-კანეპი | 1.65 | 1.95 |
| 13:00 | 252 | პირი-სავჩუკი | 1.15 | 4.20 |
| 13:00 | 253 | პირნიკოვა-სანჩეს ლორენცო | 1.65 | 1.95 |
| 13:00 | 254 | ხანტუჩოვა-დომინგესი | 1.35 | 2.80 |
| 13:00 | 255 | ხინგისი-რაიმონდი | 1.04 | 5.50 |
| 13:00 | 256 | შრუფი-ონდრაშკოვა | 1.70 | 1.90 |
| 13:00 | 257 | ენინი-ანი | 1.03 | 5.80 |
| 13:00 | 258 | კრეიბასი-იაკიმოვა | 1.85 | 1.70 |
| 13:00 | 259 | იან ზი-ჯეკსონი | 1.70 | 1.90 |
| 13:00 | 300 | ვოსკობოევა-ლისიაკი | 1.80 | 1.80 |
| 13:00 | 301 | დულკო-ბეიგელზიმერი | 1.40 | 2.30 |
| 13:00 | 302 | ჩინკი-ს კლოზელი | 1.80 | 1.80 |
| 13:00 | 303 | ლოიტი-ფერნანდესი | 1.40 | 2.30 |
| 13:00 | 304 | მედინა-ახარენკა | 1.30 | 2.85 |
| 13:00 | 305 | ხსიე სუ ვეი-მ იოჰანსონი | 1.45 | 2.30 |
| | | **31 მაისი** | | |
| 13:00 | 306 | შარაპოვა-ბენეხოვა | 1.15 | 3.80 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12124 | ესტონეთი-ახალი ზელანდია | 1.70 | 1.90 |
| 12126 | ჩეხეთი-კოსტა რიკა | 1.95 | 1.60 |
| 12127 | ლიბია-ურუგვაი(ნ) | 1.70 | 1.90 |
| 12128 | პოლონეთი-კოლუმბია | 1.60 | 2.00 |
| 12129 | არგენტინა-ანგოლა(ნ) | 2.00 | 1.60 |
| 12130 | გერმანია-იაპონია | 1.90 | 1.70 |
| 12131 | ჩილე-კოტ დიუარი(ნ) | 1.60 | 2.00 |
| 12132 | ტუნისი-ბელარუსი | 1.70 | 1.90 |
| 12133 | ინგლისი-უნგრეთი | 2.00 | 1.60 |
| 12134 | ირანი-ბოსნია | 1.70 | 1.90 |
| 12135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 1.85 | 1.70 |
| 12136 | შვეიცარია-იტალია | 1.60 | 2.00 |
| 12137 | სლოვენია-ტრინიდადი | 1.70 | 1.90 |
| 12138 | საფრანგეთი-დანია | 1.70 | 1.90 |
| 12139 | ნორვეგია-სამხრეთ კორეა | 1.60 | 2.00 |
| 12140 | პოლანდია-მექსიკა | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13124 | ესტონეთი-ახალი ზელანდია | 1.70 | 1.90 |
| 13126 | ჩეხეთი-კოსტა რიკა | 1.90 | 1.70 |
| 13127 | ლიბია-ურუგვაი(ნ) | 1.90 | 1.70 |
| 13128 | პოლონეთი-კოლუმბია | 1.70 | 1.90 |
| 13129 | არგენტინა-ანგოლა(ნ) | 1.90 | 1.70 |
| 13130 | გერმანია-იაპონია | 1.90 | 1.70 |
| 13131 | ჩილე-კოტ დიუარი(ნ) | 1.70 | 1.90 |
| 13132 | ტუნისი-ბელარუსი | 1.70 | 1.90 |
| 13133 | ინგლისი-უნგრეთი | 1.90 | 1.70 |
| 13134 | ირანი-ბოსნია | 1.70 | 1.90 |
| 13135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 1.70 | 1.90 |
| 13136 | შვეიცარია-იტალია | 1.70 | 1.90 |
| 13137 | სლოვენია-ტრინიდადი | 1.70 | 1.90 |
| 13138 | საფრანგეთი-დანია | 1.90 | 1.70 |
| 13139 | ნორვეგია-სამხრეთ კორეა | 1.70 | 1.90 |
| 13140 | პოლანდია-მექსიკა | 1.90 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14124 | ესტონეთი-ახალი ზელანდია | 1.40 | 2.40 |
| 14126 | ჩეხეთი-კოსტა რიკა | 1.11 | 2.90 |
| 14127 | ლიბია-ურუგვაი(ნ) | 2.50 | 1.25 |
| 14128 | პოლონეთი-კოლუმბია | 1.65 | 2.20 |
| 14129 | არგენტინა-ანგოლა(ნ) | 1.08 | 2.90 |
| 14130 | გერმანია-იაპონია | 1.15 | 2.60 |
| 14131 | ჩილე-კოტ დიუარი(ნ) | 2.20 | 1.60 |
| 14132 | ტუნისი-ბელარუსი | 1.35 | 2.40 |
| 14133 | ინგლისი-უნგრეთი | 1.07 | 2.80 |
| 14134 | ირანი-ბოსნია | 1.40 | 2.40 |
| 14135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 2.40 | 1.30 |
| 14136 | შვეიცარია-იტალია | 2.20 | 1.70 |
| 14137 | სლოვენია-ტრინიდადი | 1.60 | 2.20 |
| 14138 | საფრანგეთი-დანია | 1.30 | 2.50 |
| 14139 | ნორვეგია-სამხრეთ კორეა | 1.70 | 2.10 |
| 14140 | პოლანდია-მექსიკა | 1.25 | 2.40 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15124 | ესტონეთი-ახალი ზელანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15126 | ჩეხეთი-კოსტა რიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15127 | ლიბია-ურუგვაი(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15128 | პოლონეთი-კოლუმბია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15129 | არგენტინა-ანგოლა(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15130 | გერმანია-იაპონია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15131 | ჩილე-კოტ დიუარი(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15132 | ტუნისი-ბელარუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15133 | ინგლისი-უნგრეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15134 | ირანი-ბოსნია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15136 | შვეიცარია-იტალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15137 | სლოვენია-ტრინიდადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15138 | საფრანგეთი-დანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15139 | ნორვეგია-სამხრეთ კორეა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15140 | პოლანდია-მექსიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16124 | ესტონეთი-ახალი ზელანდია | 1.20 | 3.40 |
| 16126 | ჩეხეთი-კოსტა რიკა | 1.11 | 4.30 |
| 16127 | ლიბია-ურუგვაი(ნ) | 3.90 | 1.15 |
| 16128 | პოლონეთი-კოლუმბია | 1.35 | 2.50 |
| 16129 | არგენტინა-ანგოლა(ნ) | 1.09 | 5.00 |
| 16130 | გერმანია-იაპონია | 1.12 | 4.00 |
| 16131 | ჩილე-კოტ დიუარი(ნ) | 2.40 | 1.37 |
| 16132 | ტუნისი-ბელარუსი | 1.20 | 3.40 |
| 16133 | ინგლისი-უნგრეთი | 1.05 | 5.00 |
| 16134 | ირანი-ბოსნია | 1.30 | 2.90 |
| 16135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 3.40 | 1.18 |
| 16136 | შვეიცარია-იტალია | 2.40 | 1.40 |
| 16137 | სლოვენია-ტრინიდადი | 1.37 | 2.40 |
| 16138 | საფრანგეთი-დანია | 1.18 | 3.40 |
| 16139 | ნორვეგია-სამხრეთ კორეა | 1.45 | 2.30 |
| 16140 | პოლანდია-მექსიკა | 1.25 | 3.20 |

## გოლი: ლუწი-1 და კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17124 | ესტონეთი-ახალი ზელანდია | 1.85 | 1.95 |
| 17126 | ჩეხეთი-კოსტა რიკა | 1.85 | 1.95 |
| 17127 | ლიბია-ურუგვაი(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17128 | პოლონეთი-კოლუმბია | 1.85 | 1.95 |
| 17129 | არგენტინა-ანგოლა(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17130 | გერმანია-იაპონია | 1.85 | 1.95 |
| 17131 | ჩილე-კოტ დიუარი(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17132 | ტუნისი-ბელარუსი | 1.85 | 1.95 |
| 17133 | ინგლისი-უნგრეთი | 1.85 | 1.95 |
| 17134 | ირანი-ბოსნია | 1.85 | 1.95 |
| 17135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17136 | შვეიცარია-იტალია | 1.85 | 1.95 |
| 17137 | სლოვენია-ტრინიდადი | 1.85 | 1.95 |
| 17138 | საფრანგეთი-დანია | 1.85 | 1.95 |
| 17139 | ნორვეგია-სამხრეთ კორეა | 1.85 | 1.95 |
| 17140 | პოლანდია-მექსიკა | 1.85 | 1.95 |


CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ელექტრო გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | ცისფერყანწელთა ქუჩა №4 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 21 | |
| ოზურგეთი | იოანე პეტრიწის ქუჩა №3 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | თამარ მეფის №1 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №17-29 | |

ძიუდო

# თბილისი საევროპოდ დაიჯავშნა

## ქართველებმა ფინეთიდან ერთი მედლის ნაცვლად მთელი ჩემპიონატი წამოიღეს

**გამთენიისას ქართველი ძიუდოისტები ტამპერედან თბილისში დაბრუნდნენ. ზაზა კედელაშვილის ოქროსა და ზვიად ხანჯალიაშვილის ბრინჯაოს გარდა მათ ერთი სასიხარულო ამბავიც ჩამოიტანეს. ფინეთში საბოლოოდ გადაწყდა, რომ სამი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს. ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა პირველ რიგში ეს გვახარა, გუშინ ტამპერედან თბილისში მომავალს, ჰელსინკში რომ შევეხმიანეთ**

— ევროპირველობის საქართველოში ჩატარების სურვილი ადრევე გამოვთქვით, მაგრამ ცოტა ძნელი წარმოსაგენი იყო, უახლოეს წლებში რამე გამოგვსვლოდა. ევროპის ფედერაციას უკვე 2011 წლამდე ჰქონდა კალენდარი შედგენილი. თუმც ტამპერეში ჩატარებულ ალმასკომის სხდომაზე ისეთი რამ მოხდა, ყველა გაოცებული დარჩა. 2009 წლის ევრომასპინძლად დასახელებულ თურქებს უფლება ჩამოართვეს და ჩვენ გადმოგვცეს.

— წინასწარ იცოდით, რომ ასე მოხდებოდა?

— საამისოდ ნიადაგი ნელ-ნელა, მიზანმიმართული მუშაობით შევამზადეთ. დეტალების დაკონკრეტებას აღარ მოვყვები. გეტყვით მხოლოდ, რომ ერთი დეტალი თავად თურქებთან მოლაპარაკება იყო. ძალიან გახარებულები ვართ.

— ევროპის ჩემპიონატს და ჩვენების ჭიდაობას მივუბრუნდეთ. საერთო შედეგით კმაყოფილი დარჩით?

— სიმართლე გითხრათ, სამ მედალს ვგეგმავდით, მაგრამ უკმაყოფილონი მაინც არ დავრჩენილვართ. დავიწყოთ იმით, რომ 2002 წლის შემდეგ საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონი არ ჰყოლია. მეორეც — ძიუდოთი სახელგანთქმულმა ბევრმა ნაკრებმა ოქროს მედალი, ზოგიერთმა კი ვერცხლი და ბრინჯაოც კი ვერ მოიპოვა.

— ერთი ისეთი მედალი მოვიპოვეთ, ალბათ, ყველაზე ნაკლებად რომ ელოდით...

— ხანჯალიაშვილი ნაკრებში ბოლო მომენტში ჩაჯდა, თუმც ვერ ვიტყვი, რომ მასზე იმედს არ ვამყარებდით. სამ მედალს კონკრეტულ ძიუდოისტებზე არ ვგეგმავდით. ნაკრების შვიდივე წევრი ისე იყო მომზადებული, ყველას შეეძლო კვარცხლბეკზე ასვლა. ზოგმა გამოიყენა შანსი, ზოგმა ვერა. განსაკუთრებით სასიხარულო ჩემთვის ისაა, რომ ტამპერეში თავი ორმა ახალგაზრდამ გამოიჩინა. ზვიად ხანჯალიაშვილი და ზაზა კედელაშვილი ოლიმპიური გუნდის სერიოზული კანდიდატები არიან.

— უმედლოდ დარჩენილთაგან რომლის წაგებამ დაგწყვიტათ ყველაზე მეტად გული?

— რამდენიმე დასანანი მარცხი იყო, მაგრამ პირადად განსაკუთრებით ირაკლი ცირეკიძის წაგებამ ამანერვიულა. ბრიტანელ ვინსტონ გორდონს მთელი შეხვედრა საიმედოდ უგებდა, მაგრამ ბრძოლის დასრულებამდე ნახევარი წუთით ადრე გორდონმა ისეთი ილეთი გააკეთა, ჯერ არავის რომ არ გაუკეთებია. მთელი დარბაზი გაოგნებული დარჩა. მას შემდეგ ვიდეოჩანაწერს რამდენჯერმე ვუყურეთ, თუმც მაინც ძნელი გასაგებია, რა გააკეთა. წარმოიდგინეთ, თვითონაც კი გაუკვირდა. ძალიან დაგვწყვიტა გული დავით ქევხიშვილის მარცხმაც. რომ არა უიღბლო კენჭისყრა, აუცილებლად მედალს აიღებდა. გაესპანელებული იაპონელი უემაცუ მისთვის უხერხული მეტოქეა. ვნატრობდით, ოღონდ მას არ გადაჰყროდა, მაგრამ, სამწუხაროდ საწყის ეტაპზევე შეხვდა და ისევ წააგო.

— ნესტორ ხერგიანის ბრინჯაოსთვის შეხვედრაში მსაჯების შეცდომები აშკარა იყო. სხვა ქართველებიც ხომ არ დაიჩაგრნენ?

— ყველაზე მეტად მაინც გიორგი ყიზილაშვილი გაამწარეს. ბელარუს ოლიმპიურ ჩემპიონ იგორ მაკაროვთან მეოთხედფინალში აშკარად გამარჯვებას იმსახურებდა, მაგრამ მეტოქის ნაცვლად თვითონ გააფრთხილეს. ნეიტრალური გულშემატკივრებიც კი აღშფოთდნენ.

— წარუმატებელი შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შოთა ხაბარელი ნაკრების თავკაცად ევროპირველობამდე პირობით იყო დატოვებული. დარჩება თანამდებობაზე?

— ჩვენ ვთვლით, რომ შედეგი ნაჩვენებია და ხაბარელიც უნდა დარჩეს, თუმც ბოლო სიტყვა თავად უნდა თქვას. დაახლოებით ერთ კვირაში ალმასკომის სხდომას ჩავატარებთ და ერთად მივიღებთ გადაწყვეტილებას.

**ოთარ მაღლაკელიძე**





გია ნაცვლიშვილი: შოთა ხაბარელი ბოლო სიტყვას ალმასკომზე იტყვის

რაგბი

# ჩვენი ადგილი ელიტაში

## უმცროსი ქართველები ბოლოდან იწყებენ და წინ იყურებიან

*გუშინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ფრანგულ კლერმონ-ფერანში გაფრინდა, სადაც 6-26 ივნისს ოცდღიანი დამღლელი, მაგრამ ბარაქიანი რაგბობა უწევს. ჩვენი 21-წლამდელები მსოფლიოს თასზე ითამაშებენ, სადაც ელიტარულ 12 გუნდში მოხვდნენ, რაც მეტწილად შარშან ამავე ბიჭების ოღონდ მაშინ 20-წლამდელთა ნაკრების მიერ ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების დამსახურებაა*



**მსოფლიოს** თასამდე ჩვენი ახალგაზრდები ერთკვირიან შეკრებას გაივლიან კლერმონ-ფერანში. შეკრება კი უმცროსებს კლერმონის სარაგბო ელიტკლუბის ქართველმა ლეგიონერებმა გოდერძი შველიძემ და დავით ზირაქაშვილმა გაუხერხეს.

უმცროსი „ლელოების" მწვთნელებმა დავით ჩავლეიშვილმა და დავით კაკაბაძემ მსოფლიოს თასზე 26 მორაგბე წაიყვანეს. ქართველთა რაზმში სამი ლეგიონერია — რუმინული „ფარულის" მორკინალს გიორგი ჟღენტს ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია. ფრანგული „კლერმონის" მესამეხაზელი სიმონ მაისურაძე, ბორჯღალოსანი ილო მაისურაძის უმცროსი ძმაა. უფროსი მაისურაძე კი შარშანწინ რუსეთთან თბილისური მატჩიდან გემახსოვრებათ, თავგატეხილი მარტო რომ არბევდა რუსებს. ლაშა მალაღურაძე კი „ოდესის" სული და გულია. ლაშა უკრაინის ჩემპიონატის მექულეცაა.

დანარჩენი რაზმელები კი საქართველოს ჩემპიონატში თამაშობენ, თუმც სხვა ასაკობრივ ნაკრებებშიც ურაგბიათ და საერთაშორისო გამოცდილებაც აქვთ.

რაც შეეხება ტურნირის ფორმატს, ცოტა არ იყოს, ჩაკვარახჭინებულია. საქართველოს ნაკრები D ჯგუფში მოხვდა საფრანგეთისა და არგენტინის ნაკრებებთან ერთად, ოღონდ მატჩებს სხვა ჯგუფის გუნდებთან გამართავს. საქართველოს ნაკრები 9 ივნისს უელსს, 13 ივნისს სამხრეთ აფრიკას, 17 ივნისს კი ირლანდიას ეთამაშება. მსოფლიოს თასზე სამხრეთ აფრიკა პირველ ნომრად, უელსი მე-5, ხოლო ირლანდია მე-9 ნომრად არიან განთესილები, საქართველო კი ბოლო, მე-12 ნომერია. ამ ოთხეულის გარდა ელიტ ჯგუფში თამაშობენ: ავსტრალია, ახალი ზელანდია, შოტლანდია, ინგლისი, იტალია და ფიჯი.

**ბაჩო სვანიძე**

### 21-წლამდელები მსოფლიოს თასზე

*დიმიტრი ბასილაია, გიორგი მჟავანაძე, გიორგი სოსელია, ოთარ მინაშვილი (ყველა არმაზი), ბადრი ყალიჩავა, მიხეილ არჩუაშვილი, დავით კაჭარავა, ირაკლი გეგენავა, პაატა მაისურაძე (ყოჩები), სოლომონ ქარუხნიშვილი (რუსთავი), ვახტანგ ჩიხლაძე, ნიკოლოზ მაღალთაძე, ლაშა თავართქილაძე (ლოკომოტივი), გიორგი მჭედლიშვილი, ირაკლი ყიასაშვილი, დავით ქუბრიაშვილი (ლელო), გიორგი ბეგაძე, დავით გურგენიძე, მერაბ გაბუნია, ივანე სულამანიძე (აკადემია), ლაშა ალავიძე (დინამო), ლუკა კილასონია (უნივერსიტეტი), ბექა შეყლაშვილი (ხულიგანა), გიორგი ჟღენტი (კონსტანცა), ლაშა მალაღურაძე (ოდესა), სიმონ მაისურაძე (კლერმონი)*

კალათბურთი

# 2006 NBA Playoffs

# ფინიქსი დალასის დაცვამ დააცურა

28 მაისი

**დასავლეთის ფინალი**

**დალასი 2:1 ფინიქსი**

**ფინიქსი 88:95 დალასი**

**ფინიქსი:** ნეში (21), ბარბოსა (17), ტომასი (14 ქულა, 10 მოხსნა), მერიონი (10 ქულა, 18 მოხსნა), დიაუ (20); ჯონსი (4), ჰაუსი (2)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**დალასი:** ტერი (19), ჰარისი (6), ჰოვარდი (22 ქულა, 12 მოხსნა), ნოვიცკი (28 ქულა, 17 მოხსნა), ვან ჰორნი (5); სტეკჰაუსი (7), დიოპი (4), გრიფინი (2), არმსტრონგი (2)

„დალასის“ თავკაცმა აივერი ჯონსონმა, როგორც იქნა, მოარგო გასაღები „ფინიქსს“. აქამდე ტეხასელები არიზონელთა დაკრულზე ცეკვავდნენ — მიუხედავად იმისა, რომ ორიდან ერთი თამაში მოუგეს, მაინც ფინიქსელთაგან ნაკარნახევ თამაშში ეძებდნენ გამარჯვებას. სერიის მესამე ჯახში კი „დალასმა“, როგორც იქნა, მოახერხა მეტოქისთვის ფრთების შეკვეცა — თავისი დაცვით ბოლოს და ბოლოს მაინც მოაშთო მოუხელთებელი მეტოქე და სერიაში 2:1 დაწინაურების შემდეგ თავის ისტორიაში პირველ ფინალს ორი გამარჯვების მანძილზე მიუახლოვდა.

„დალასმა“ მეტოქეს მხოლოდ 88 ქულა ჩააგდებინა, რაც „ფინიქსის“ ანტირეკორდია მიმდინარე პლეი ოფში.

არადა, თავიდან ისევ „ფინიქსი“ უკვეთავდა მუსიკას, მისი სიმღერის მომღერალი „დალასი“ კი კუდში მიჰყვებოდა და პირველი ტაიმის ბოლოს ათი ქულითაც აგებდა — 52:42. სტუმრები მერელა გამოფხიზლდნენ და დაცვაში დაიწყეს ხეირის ძიება, შედეგად კი ტაიმის დარჩენილ ორ წუთში 5 უპასუხო ქულა გააკეთეს და მესამე მეოთხედის საწყისი წუთებიც 10:2 მოიგეს, რის შემდეგაც უკვე თავად დაწინაურდნენ — 57:54. ამ მესამე მეოთხედმა გადაწყვიტა ყველაფერი. სულშეხუთულმა „ფინიქსმა“ აქ მხოლოდ 16 ქულა შეაკოწიწა და წლევანდელ პლეი ოფში ანტირეკორდსაც გამოჰკრა ხელი.

ბოლო 12-წუთეულში, როცა მასპინძელთა შეტევამ თითქოს მომართა თავისი ზარბაზანი და მიყოლებით 4 ქულის გაკეთების შემდეგ 72:72 გაათანაბრა, სტუმართა დაცვამ მორიგი მახრჩობელა ილეთი გაუკეთა მათ და 11:2 გაქცევით უპასუხა. „დალასი“ 9 ქულით დაწინაურდა და „ფინიქსს“ ალარაფრის ხალისი არ შერჩა, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის გადასარჩენად მთელი 6 წუთი გააჩნდა.



დირკ ნოვიცკის კარიერის საუკეთესო პერიოდი უდგას

მეკლდეურობა

# კაცხის კლდეების შესეულნი

**მეკლდეურებმა** ამოისუნთქეს — დათბა და დარბაზიდან ღია ცის ქვეშ გადაინაცვლეს. საქართველოში თუ სადმე ახალგაზრდა მეკლდეურები იყვნენ, ყველანი ჭიათურასთან ახლოს მდებარე სოფელ კაცხში აღმართულ კლდეებთან მოგროვდნენ, ბანაკი დასცეს და თანატოლთა შორის ქვეყნის პირველობაში ჩაებნენ. იქაურ კლდეებზე ძალა სცადეს მთიდან ჩამოსულებმაც და ბარელებმაც, ქალაქელებმაც და სოფლელებმაც. ისინი ყაზბეგის, მესტიის, ლენტეხის, ბათუმის, ქუთაისის, გორის, ქარელისა და თბილისის წარმომადგენლები იყვნენ. ამასთან, თბილისი სამი გუნდით გამოდიოდა, რომელთაგან ერთი დედაქალაქის ახალგაზრდა მთამსვლელთა კლუბის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული.

საქართველოს პირველობაში გამოსული გუნდების ასეთ სიმრავლეს ვერც კაცხელები იხსენებენ და ვერც შეჯიბრის სხვა მონაწილენი.

როგორც საქართველოს მეკლდეურთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ლადო გურჩიანმა გვითხრა, მონაწილეთა ასეთმა სიმრავლემ კონკურენცია გაზარდა, პირველობისთვის ბრძოლა გამწვავდა და შეჯიბრებაც უფრო საინტერესო გახდა. ამასთან, ბოლო წლებთან შედარებით მეკლდეურთა ოსტატობის საერთო დონეც გაცილებით მაღალი გამოდგა.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა ასპარეზობის მონაწილენი სამ ასაკობრივ ჯგუფად (უმცროსი ასაკი — 13-14 წლის, საშუალო — 15-16 და უფროსი — 17-18 წლის ასაკის მეკლდეურები) დაყვეს, რამაც თავის გამოჩენის საშუალება მეტ მეკლდეურს მისცა და ისინიც უფრო ხალისით და მონდომებით ეკვეთნენ კლდეებს. ასპარეზობა ორ კატეგორიაში — სწრაფ და რთულ ცოცვაში ჩატარდა. უფროსთა შორის მესტიელმა ქეთინო გულბანმა და თბილისელმა ერეკლე მიქელაძემ დუბლი შეასრულეს, ანუ ორივე სახეობაში იმარჯვეს.

ბიჭებიდან ორივე სახეობაში საპატიო კვარცხლბეკზე ასვლა კიდევ ერთმა, გურამ ხუციშვილმა (თბილისი I) შესძლო. მან ორი მესამე ადგილი დაიკავა და ამ წარმატებას უფროსი ასაკის მეკლდეურთა შორის მიაღწია.

ამ მხრივ გოგონებში სულ სხვა სურათი იყო. ისინი საპატიო კვარცხლბეკზე თავთავიანთ ასაკობრივ ჯგუფებში ერთმანეთს ადგილებს უცვლიდნენ. მათგან საუკეთესო შედეგები ჰქონდათ ლენტეხელ დუდუშა ლიპარტელიანსა და მესტიელ მარინე იოსელიანს, რომლებიც უმცროსი ასაკის მეკლდეურებში გამოდიოდნენ. მათგან ლიპარტელიანმა სწრაფ ცოცვაში გაიმარჯვა, რთულში კი მესამე იყო. იოსელიანმა პირიქით, რთულ ცოცვაში ყველას აჯობა, სწრაფში კი მეორე იყო.

იგივე უნდა ითქვას მესტიელ მარინე გუჯეჯიანსა და თბილისელ ნუცა ხუციშვილზე, რომლებიც საშუალო ასაკში გამოდიოდნენ. გუჯეჯიანმა რთულ ცოცვაში გაიმარჯვა, ხოლო სწრაფში მესამე იყო, ხუციშვილმა კი პირიქით, სწრაფში ყველას აჯობა და რთულში მეორე ადგილზე გავიდა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ავტორბოლა

# მიხაელს მონტე კარლოს მოსახვევს არ პატიობენ



AFP

მიხაელ შუმახერი „რენოს“ ავტობუსს ჩამორჩა

**ორდღიანი** ანტიშუმახერული ალტკინება თანდათან კი მინელდა, მაგრამ მკვახე გამონათქვამები მაინც ისმის.

შეგახსენებთ, რაც შაბათს მონტე კარლოში კვალიფიკაციის მიწურულს მოხდა: ტრასის ბოლოსწინა მოსახვევში მიხაელ შუმახერის „ფერარის“ წინა მარჯვენა ბორბალი დაებლოკა, რის გამოც მანქანა შუა გზაზე გაჩერდა. ბუნებრივია, უკან მავალი მეტოქეები, მათ შორის „წითელი ბარონის“ უმთავრესი კონკურენტი ფერნანდო ალონსო, შეყოვნდნენ და დროც დაკარგეს.

ცხადია, დაზარალებულთა რეაქციამ არ დააზანა. ალონსო: „იმ მომენტში, ორი სექტორის შემდეგ, ჩემს საუკეთესო შედეგს სამი მეათედი წამით ვაჭარბებდი და პოულსაც ნაღდად მოვუგებდი მიხაელს, მაგრამ მან მოულოდნელად გააჩერა მანქანა, ტრასაზე ყვითელი დროშებიააფრიალეს და მეც შევფერხდი.“

„რენოს“ ბოსი ფლავიო ბრიატორე: „დარწმუნებული ვარ, რომ მიხაელმა შეგნებულად გააჩერა გზაზე მანქანა, რათა მეტოქეებს მისი შედეგი არ გაეუმჯობესებინათ ფერარისთვის ეს ტიპური საქციელია.“

„მაკლარენ-მერსედესის“ მრბოლი კიმი რაიკონენი: „ცუდია, როცა ამგვარი რამ ხდება. ყველამ დაინახა, რომ იმ სიტუაციაში უჩვეულო არაფერი იყო. მიხაელმა ყველა აიძულა, დაემუხრუჭებინათ მოსახვევში და ამის გამო უნდა დასჯილიყო.“

მონაკოური ეტაპის სტიუარდებმა ინციდენტის რვასაათიანი გარჩევის შემდეგ, როცა შუმახერსაც მოუსმინეს და უამრავჯერ იხილეს ვიდეო და ტელემეტრიული ჩანაწერები, უმკაცრესი ვერდიქტი გამოიტანეს და შედეგად, მიხაელს რბოლის ბოლო, 22-ე პოზიციიდან დაწყება მოუხდა. წინასწარვე იმედგადაწურულმა, მაინც ბოლომდე მედგრად იბრძოლა და ფინიშის ხაზი მეხუთემ გადაკვეთა.

რბოლის შემდეგ მიხაელი ჟურნალისტებს შეხვდა: „მოხარული ვარ, რომ ყველაზე უკან, ბოქსებიდან დაწყებული რბოლა მეხუთე ადგილზე დავასრულე. რაც შეეხება შაბათის ამბავს, ძალიან გაკვირვებული და გულნატკენი ვარ სასჯელის სიმკაცრით. საკვალიფიკაციო ინციდენტი გარედან მართლაც უცნაურად ჩანდა. სწორედ ასე აღიქვეს ეს იმათ, ვინც გადაწყვეტილება გამოიტანა, მაგრამ არავინ მჯდარა მანქანაში ჩემს გვერდით და არ უგრძვნია ის, რაც მე განვიცადე. თუკი ვინმეს ჰგონია, რომ მინდოდა, ფერნანდო ალონსოსთვის სწრაფი წრე გამეფუჭებინა, ძალიან ცდება — ამაში წინასწარ განზრახული არაფერი იყო. მინდა ყველას მოდიში მოვუხადო, ეს შემთხვევით მოხდა.“

დაბოლოს...

„მაკლარენის“ ტესტ-მძღოლი პედრო დე ლა როსა: „ის, რაც მიხაელმა კვალიფიკაციისას მოიმოქმედა, სამარცხვინოა შვიდგზის ჩემპიონისთვის. მსგავსი რამ, ვთქვათ, დებიუტანტ იუძი იდეს რომ მოსვლოდა, მას იქვე ჩამოართმევდნენ სარბოლო სუპერლიცენზიას. არ მესმის, როგორ შეიძლება, მიხაელი დარჩეს მრბოლთა პროფკავშირის პრეზიდენტად. ამ საკითხს სილვერსტოუნში შეხვედრისას დავაყენებ და თუ იგი ამის შემდეგაც დარჩება GPDA-ის სათავეში, მე პროფკავშირს დავტოვებ.“

**გია ახალაძე**

მძლეოსნობა

# აქეთ ჯასტინი, იქით ასაფა

## როდის გადაიკვეთება პარალელური ხაზები

**სულ** ახალი ამბავია — რამდენიმე კვირის წინ ამერიკელმა სპრინტერმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯასტინ გეტლინმა 100 მეტრი 9,76 წამში გაირბინა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, თუმცა მერე დადგინდა, რომ ამერიკელის დრო 9,766 წამს უდრიდა და წესითა და მეათასედების მეასედებამდე დამრგვალებით 9,77 წამი მივიღეთ. ანუ გეტლინი რეკორდსმენიდან თანარეკორდსმენად იქცა — ძველი მიღწევა ხომ, სწორედ 9,77 წამს უდრიდა, იამაიკელ ასაფა პაულს ეკუთვნოდა.

ამ ფაქტმა თანამედროვეობის ორი საუკეთესო სპრინტერის დაპირისპირებას განსაკუთრებული სიმძაფრე შემატა.

როდის შედგება გეტლინისა და პაუელის უშუალო დუელი სარბენ ბილიკზე, ჯერ უცნობია. მხარეები ამ ეტაპზე ერთმანეთს ზვერავენ და ასე ვთქვათ, პარალელური გზებით მიიწევენ წინ. არადა, გასულ უქმეებზე ორივენი ტეხასის შტატის ქალაქ იუჯინში იყვნენ, მაგრამ, რადგანაც ერთმანეთთან პაექრობა არ სურდათ, ტეხესური შეჯიბრის ორგანიზატორებმა 100 მეტრზე ორი გარბენი ჩაატარეს და ჯასტინსა და პაუელს ცალ-ცალკე მიუჩინეს ადგილი.

დაუსწრებელი, ან, თუნდაც პარალელური ომი ამერიკელმა მოიგო. მან თავის გარბენში 9,88 წამით იმარჯვა, ხოლო იამაიკელმა, რომელმაც ასევე აჯობა უშუალო კონკურენტებს, 9,93 წამი აჩვენა.

გატლინი თავს, ალბათ მორალურ გამარჯვებულად თვლის, მაგრამ მთავარი მაშინ იქნება, როდესაც ის სარბენ ბილიკზე პაუელის გვერდით დადგება — მათემატიკისგან განსხვავებით, მძლეოსნობაში პარალელური ხაზები ოდესღაც აუცილებლად იკვეთება და ჯასტინსა და ასაფასაც მოუწევთ უშუალო დუელში უძლიერესის გამოვლენა.

# ო, რა შორია მერქსამდე

## ივან ბასოს ჯერ კიდევ ბევრი მთა აქვს გადასავლელი



ედი მერქსის ველოსიპედს მუდამ პირველი ნომერი ეწერა

**დასრულდა** სეზონის სამი უმთავრესი ველოტურიდან პირველი, რიგით 89-ე „ჯირო დიტალია“ და თავად ველოსიპედისტებსაც და ველოსპორტის ქომაგებსაც ერთი თვით სულის მოთქმის საშუალება მიეცათ. მერე კი, ივლისის პირველ რიცხვებში, უმთავრესი და უდიდესი რბოლა, „ტურ დე ფრანსი“ გახურდება და მთელი სამი კვირა სწორედ „დიდი მარყუჟი“ იქნება ქომაგთა ყურადღების ცენტრში. იტალიურ და ფრანგულ წრეებს მოგვიანებით ესპანური „ვუელტაც“ მიჰყვება, მაგრამ იქამდე ჯერ შორია და ახლა, როდესაც „ჯირო“ ახალი ჩავლილია, შეგვიძლია ისტორიას გადავავლოთ თვალი და გავიხსენოთ ის დიდი სპორტსმენები, რომელთაც მარათონულ ველოტურებში არაერთხელ გამოუჩენიათ თავი.

მათთვის, ვინც ველოსპორტს ბოლო წლებში ადევნებს თვალს, ლენს არმსტრონგზე დიდი ფიგურა, ალბათ, არ არსებობს. ამერიკელმა სუპერმენმა მართლაც შეუძლებელი შეძლო და ზედიზედ შვიდჯერ მოიგო მეორე დიდი ამერიკელის, გრეგ ლემონდის თქმით, ველოსპორტის ოლიმპი და ევერესტი „ტურ დე ფრანსი“ და, არათუ „ტური“, არც „ჯირო“ და არც „ვუელტა“ არავის მოუგია ხუთზე მეტად.

თითქოს სალაპარაკო აღარაფერია — არმსტრონგი დიადთა შორის დიადი და ყველა დროის საუკეთესოა, მაგრამ მთლად ასეც არ არის საქმე. „ტურის“ ხუთგზის ტრიუმფატორმა ბერნარ ინომ როგორღაც თქვა — არმსტრონგი „ტურის“ ისტორიაში უდიდესი მრბოლია, მაგრამ ველოსპორტის ისტორიაში ასეთი ედი მერქსი იყო, არის და კიდევ კარგა ხანს იქნებაო. და მართლაც, თუ „ტურის“ იქით, „ჯიროსა“ და „ვუელტასკენაც“ გავიხედავთ, დავრწმუნდებით, ინოს სიტყვების სისწორეში. არმსტრონგისთვის ერთი, ფრანგული რბოლის მეტი არაფერი არსებობდა და ტეხასელი ისე აწყობდა მთელი წლის გრაფიკს, სწორედ „დიდი მარყუჟისთვის“ რომ ყოფილიყო ოპტიმალურ ფორმაში. არმსტრონგი არ ცნობდა სხვა რბოლებს — არც პრავალდღიანებს და არც კლასიკურებს და ეს მაშინ, როდესაც მერქსი და იგივე ინო ცდილობდნენ, ყველაფერი მოეგოთ და იგებდნენ კიდეც.

ხუთი „ტურის“ (1969-72, 74) გარდა, „კანიბალად“ წოდებულ მერქსს ხუთი ჯირო“ (1968, 70, 72-74), ერთი „ვეულტა“ (1973), სამი მსოფლიო ჩემპიონატი და უამრავი კლასიკური რბოლა აქვს მოგებული. დიდ ველოტრეკებზე 11 ტრიუმფი აბსოლუტური რეკორდია და დიადი ბელგიელის ამ მიღწევასთან ყველაზე ახლოს ისევ ინო მივიდა, რომელმაც ასევე ხუთ „ტურს“ (1978-79, 81-82, 85) სამი „ჯირო“ (1980, 1982, 1985) და ორი „ვუელტა“ (1978, 1983) დაამატა. თანაც დააკვირდით — ბელგიელმაც და ფრანგმაც არაერთხელ შეძლეს ერთ სეზონში ორი სუპერრბოლის მოგება. ასეთი რამ მერქსმა ოთხჯერ (1970, 1972-74) გააკეთა, ხოლო ინომ სამჯერ (1978, 1982, 1985).

მერქსისა და ინოს გარდა, სამივე სუპერრბოლაში თუნდაც ერთხელ, კიდევ ორ ველოსიპედისტს უმარჯვია. ფრანგმა ჟაკ ანკეტილმა ხუთ „ტურს (1957, 61-64) თითო „ჯირო“ (1960) და „ვუელტა“ (1963) დაამატა, ხოლო იტალიელმა ფელიჩე ჯომონდიმ სამჯერ (1967, 69, 76) მშობლიური რბოლა მოიგო და თითოჯერ ფრანგული (1965) და ესპანური (1968).

დიადთა შორის აუცილებლად უნდა ვახსენოთ ლეგენდარული იტალიელები ჯინო ბარტალი და ფაუსტო კოპი. კოპიმ ხუთი ტრიუმფი (1940,47, 49, 52-53) „ჯიროზე“ გადაიხადა და ორი (1949, 52) „ტურზე“, ხოლო ბარტოლიმ სამ „ჯიროს“ (1936-37, 46) ორი „ტური“ (1938, 48) დაამატა. თანაც დააკვირდით — ისინი თანამედროვენი იყვნენ, ერთმანეთს ეცილებოდნენ ტიტულებს და, რაც მთავარია, რომ არა მეორე მსოფლიო ომის გამო დაკარგული წლები, ალბათ, მხოლოდ ღმერთმა უწყის, კიდევ რამდენ ტრიუმფს გადაიხდიდნენ.

ბარტალი და კოპი იტალიური ველოსპორტის კიდევ ერთი ლეგენდის ალფრედო ბინდას ნაკვალევზე გაიზარდნენ. ბინდამ 1925, 27-29, 33 წლებში ხუთჯერ შეკრა აპენინური წრე. უფრო ახლო წარსულის ისტორიას თუ დავუბრუნდებით, უპრიანი და აუცილებელია ესპანელი მიგელ ინდურაინის ხსენება. დიადმა ბასკმა 1991-95 წლებში ზედიზედ ხუთი „ტური“ მოიგო და პარალელურად, 1992-93 წლებში ორჯერ „ჯიროზეც“ იპირველა.

ბოლოს ასეთი დუბლი, ანუ სეზონში ორი სუპერრბოლის, კერძოდ კი, „ჯიროსა“ და „ტურის“ მოგება 1998 წელს აწ გარდაცვლილმა იტალიელმა მარკო პანტანიმ შეძლო და წელს კი კიდევ ერთი იტალიელი ივან ბასო შეეცდება თანამემამულის მიღწევის გამეორებას. ბასომ ტრიუმფალურად მოიგო მშობლიური რბოლა და 28 წლის სპორტსმენი ახლა ფრანგულ წრეს შეუტევს. ბასო ფავორიტია და დიდი შანსია, მან მართლაც გაახერხოს იშვიათი დუბლი, მაგრამ მერქსისა და ინოს დონემდე ასვლას წლები სჭირდება და, თუ ბასო უახლოეს მომავალში შეძლებს, თუნდაც მიუახლოვდეს უკვდავთა“ შედეგებს და, ერთ-ორ დუბლს გაახერხებს, თავადაც ლეგენდათა შორის დაიდებს ბინას.

და ბოლოს, გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც შეყვანილია ყველა ის მრბოლი, სამჯერ და მეტჯერ რომ უმარჯვია დიდ ველოტურებზე — „ჯიროზე“, „ტურსა“ და „ვუელტაზე“.

| | ტური | ჯირო | ვუელტა | სულ |
|---|---|---|---|---|
| ედი მერქსი (ბელგია) | 5 | 5 | 1 | 11 |
| ბერნარ ინო (საფრანგეთი) | 5 | 3 | 2 | 10 |
| ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი) | 5 | 1 | 1 | 7 |
| მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) | 5 | 2 | — | 7 |
| ფაუსტო კოპი (იტალია) | 2 | 5 | — | 7 |
| ლენს არმსტრონგი (აშშ) | 7 | — | — | 7 |
| ფელიჩე ჯიმონდი (იტალია) | 1 | 3 | 1 | 5 |
| ჯინო ბარტალი (იტალია) | 2 | 3 | — | 5 |
| ალფრედო ბინდა (იტალია) | — | 5 | — | 5 |
| ტონი რომინგერი (შვეიცარია) | — | 1 | 3 | 4 |
| ლორან ფინიონი (საფრანგეთი) | 2 | 1 | — | 3 |
| პედრო დელგადო (ესპანეთი) | 1 | — | 2 | 3 |
| ფილიპ ტისი (ბელგია) | 3 | — | — | 3 |
| ლუსიენ ბობე (საფრანგეთი) | 3 | — | — | 3 |
| გრეგ ლემონდი (აშშ) | 3 | — | — | 3 |
| რობერტო ერასი (ესპანეთი) | — | — | 3 | 3 |

**რობერტო ერასმა ოთხჯერ — 2000, 2003-05 წლებში მოიგო „ვუელტა“, მაგრამ შარშანდელი რბოლის დასრულების შემდეგ ესპანელი დოპინგზე ჩავარდა და შედეგად მისი ტიტული მეორე ადგილზე გასულ რუს დენის მენშოვს გადასცეს.**

**მოქმედი ველოსიპედისტებიდან ორ-ორი სუპერრბოლა მოგებული აქვთ გერმანელ იან ულრიხს (1997 წლის „ტური“ და 1999 წლის „ვუელტა) და იტალიელებს — ჯილბერტო სიმონისა („ჯირო“ — 2001, 03) და პაოლო სავოლდელის („ჯირო“ — 2002, 05)**



## საჭადრაკო ოლიმპიადა 2006

20 მაისი — 4 ივნისი. ტურინი, იტალია

VII ტური

**კაცები**

საქართველო 3:1 პოლონეთი

**ბაადურ ჯობავა 1:0 ბართოშ სოცკო**
**გიორგი ყაჭეიშვილი 0:1 რობერტ კემპინსკი**
**თამაზ გელაშვილი 1:0 მათეუშ ბარტელი**
**დავით არუთინიანი 1:0 რადოსლავ ვოჯტასზეკი**

ჰოლანდია 1:3 სომხეთი
რუსეთი 3:1 ბელარუსი
ინდოეთი 1,5:2,5 უკრაინა
აშშ 2:2 შვედეთი

**ქალები**

მონღოლეთი 0:3 საქართველო

**დულამსურენ იანჯინდულამი 0:1 ნინო ხურციძე**
**ზორიგტ ბავარა 0:1 ნანა ძაგნიძე**
**ბარანმონ ანშჩიმეგი 0:1 მაია ლომინეიშვილი**

სლოვაკეთი 0:3 რუსეთი
უკრაინა 2,5:0,5 რუმინეთი
აშშ 2,5:0,5 ინდოეთი
ბულგარეთი 1,5:1,5 ჩინეთი

# სამიანი და ჯანმრთელობა

**მეშვიდე ტურში** ქართველმა მოჭადრაკეებმა თავიანთი შეხვედრები მოიგეს, როგორც ქალებმა, ისე კაცებმა, თავიანთ აქტივს სამ-სამი ქულა შემატეს და სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს.

ბიჭებმა პოლონეთის ძლიერი ნაკრები დაამარცხეს, ცხრამეტი ქულა მოაგროვეს და მეექვსე პოზიციაზე აინაცვლეს. ჩვენებიდან ბაადურ ჯობავამ, თამაზ გელაშვილმა და დავით არუთინიანმა იყოჩაღეს.

პირველ დაფაზე ჯობავა ბართოშ სოცკოს დაუპირისპირდა. ქართველმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო შეხვედრა, თავიდანვე იერიშებს შეუდგა და უპირატესობას დაეუფლა. თავის ჯადასარჩენად სოცკომ ერთიორი გაიბრძოლა, თუმც არაფერი გამოუვიდა და 38-ე სვლაზე კაპიტულაცია გამოაცხადა.

პირველობას არ თმობს სომეხთა ნაკრები. ჩვენმა მეზობლებმა ჰოლანდიელები დაამარცხეს 3:1 და მთავარ კონკურენტ რუსებს კვლავ ქულით ჯაბნიან.

ქართველმა მანდილოსნებმა მონღოლეთის ნაკრები გაანადგურეს 3:0 და ხუთეულის კარიც შეაღეს. ლიდერი კი ისევ რუსეთია და მტკვარ უკრაინას ნახევარი ქულით უსწრებს.

ლაშა გეგეჭკორი

**სატურნირო მდგომარეობა შვიდი ტურის შემდეგ**

| კაცები | | ქალები | |
|---|---|---|---|
| 1. სომხეთი | 21 ქულა | 1. რუსეთი | 17,5 |
| 2. რუსეთი | 20 | 2. უკრაინა | 16,5 |
| 3. კუბა | 19,5 | 3. აშშ | 15,5 |
| 4. უზბეკეთი | 19 | 4. უნგრეთი | 15 |
| 5. უკრაინა | 19 | 5. საქართველო | 15 |
| 6. საქართველო | 19 | | |

VIII ტური

**კაცები**

უზბეკეთი 1,5:2,5 საქართველო

**რუსტამ კასიმჯანოვი 0,5:0,5 ბაადურ ჯობავა**
**ტიმურ გარეიევი 1:0 ლევან ფანცულაია**
**ანტონ ფილიპოვი 0:1 მერაბ გაგუნაშვილი**
**სერგეი კაიუმოვი 0:1 დავით არუთინიანი**

**ქალები**

საქართველო 1,5:1,5 ბულგარეთი

**ნინო ხურციძე 0,5:0,5 ანტოანეტა სტეფანოვა**
**ნანა ძაგნიძე 0:1 მარგარიტა ვოისკა**
**ლელა ჯავახიშვილი 1:0 ემილია ჯანგაროვა**



## პლეი ოფი 2006

28 მაისი

აღმოსავლეთი. ნახევარფინალი
კაროლინა 3:2 ბუფალო

**კაროლინა 4:3 ბუფალო**

*1:2, 2:1, 0:0, 1:0*

0:1 დრური (8), 1:1 უილიამსი (8), 1:2 როი (18), 1:3 ლუდმანი (22), 2:3 რეკი (26), 3:3 ბრინდამორი (31), 4:3 სტილმანი (69)

**როლან გაროსი 2006. პარიზი.** თიხნარი. საპრიზო 8 137 652 $

# მყავს კი ბადალი?!

## რაფაელ ნადალმა გილერმო ვილასს და ოცდაცხრა წელს გადააბიჯა




წუხელ, შუაევროპული დროით საღამოს შვიდი საათისთვის რაფაელ ნადალმა 6:2, 7:5, 6:1 დაამარცხა შვედი რობინ სოდერლინგი და ზედიზედ 54-ედ გაიმარჯვა თიხნარზე. ეს კი ახალი რეკორდია. ძველი გასული საუკუნის 70-80-იანი წლების არგენტინელ ვარსკვლავს, გილერმო ვილასს ეკუთვნოდა და 1977 წლით იყო დათარიღებული. და აი, თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ ესპანელმა ვუნდერკინდმა, ვისაც, აგერ უკვე მეორე სეზონია, ბადალი არ ჰყავს თიხის კორტებზე, დაამხო არგენტინელის მიღწევა და პირველი ნაბიჯი გადადგა „როლან გაროსზე" შარშან მოპოვებული ტიტულის შესანარჩუნებლად

29 მაისი

### პირველი წრე

### კაცები

**ალეხანდრო ფელა** (კოლუმბია) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:4 6:4 6:2; **მაქს მირნი** (ბელორუსია) — ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) 6:3 6:1 7:6; **ილია ბოზოლიჩი** (სერბეთი) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) 6:4 6:3 6:4; **გასტონ გაუდიო** (10, არგენტინა) — როკო კარანუსიჩი (ხორვატია) 6:2 6:2 6:2; **ევგენი კოროლიოვი** (რუსეთი) — ანდრეას სეპი (იტალია) 6:4 2:6 3:6 7:5 6:1; **ხუან კარლოს ფერერო** (26, ესპანეთი) — ხუან მარტინ დელ პორტო (არგენტინა) 6:3 2:6 6:2 6:4; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — საშა ტუკსარი (ხორვატია) 6:3 6:3 3:6 6:0; **სებასტიან გროჟანი** (21, საფრანგეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:3 6:2 6:3; **დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:2 6:3 6:2; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — ქსავიე მალისი (ბელგია)— 6:1 7:5 1:6 4:6 9:7; **ლუკაშ დლუჰი** (ჩეხეთი) — **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) 4:6 6:4 3:6 7:5 6:2; **ფლავიო სარეტა** (ბრაზილია) — პოტიტო სტარაჩე (იტალია) 6:7 2:6 6:4 7:6 6:3; **ნიკლას კიფერი** (13, გერმანია) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 7:6 6:3 6:1; **ფილიპო ვოლანდრი** (იტალია) — კრისტიან პლესი (დანია) 6:4 7:6 6:4; **მარკ ჟიკელი** (საფრანგეთი) — ალესიო დი მაურო (იტალია) 7:5 7:6 6:3; **რადეკ შტეპანეკი** (11, ჩეხეთი) — მიკაელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:4 6:4 6:2; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — ოლივიე მარახი (ავსტრია) 6:3 7:5 6:7 6:2; **ჯეიმს ბლეიკი** (8, აშშ) — პარადორნ შრიჩაპარნი (ტაილანდი) 6:0 6:4 7:6; **ხოსე აკასუსო** (26, არგენტინა) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3 6:1 3:6 1:6 11:9; **რიშარ გასკე** (საფრანგეთი) — ვანგ იუ-ცუ (ტაივანი) 6:4 6:1 7:5; **მარტინ ვასალო არგუელო** (არგენტინა) — პოლ გოლდსტეინი (აშშ) 6:2 6:0 6:3; ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 7:5 6:2 6:1; **მარიო ანჩიჩი** (12, ხორვატია) — ნატან ჰილი (ავსტრალია) 6:3 4:6 7:6 6:1; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — ვესლი მუდი (ს. აფრიკა) 4:6 7:6 7:6 6:7 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (6, რუსეთი) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 7:5 6:4 6:4; **ტომაშ ბერდიხი** (20, ჩეხეთი) — ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი) 6:2 6:4 6:3; **სტეფანო გალვანი** (იტალია) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 4:6 6:0 7:6 3:6 7:5; **რაემონ სლუტერი** (ჰოლანდია) — იარკო ნიემინენი (16, ფინეთი) 6:2 7:6 2:1(ნიემინენმა შეწყვიტა); **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:2 7:5 6:1; **პოლ კაპდევილია** (ჩილე) — გრეგ რუზედსკი (ბრიტანეთი) 6:3 6:1 4:6 7:6; **კევინ კიმი** (აშშ) — ჟულიო სილვა (ბრაზილია) 7:5 6:2 6:7 7:6; რობი ჯინეპრი (17, აშშ) — ალბერტ მონტანიესი (ესპანეთი) 3:6 7:6 1:6 0:3 (გადაიდო); დანიელე ბრაჩიალე (იტალია) — დავიდე სანგინეტი (იტალია) 3:6 7:6 (გადაიდო)

### ქალები

**ვერა დუშევინა** (რუსეთი) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 6:3 6:2; **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი) — ლაურა პოუს ტიო (ესპანეთი) 7:5 6:4; **მარიონ ბარტოლი** (25, საფრანგეთი) — აურელი ვედი (საფრანგეთი) 6:1 6:0; **არავანე რეზაი** (საფრანგეთი) — ალბერტა ბრიანტი (იტალია) 6:4 7:6; **შუაი პენგი** (ჩინეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:2 6:2; **კაროლინა შპრემი** (ხორვატია) — ელენა ლიხოვცევა (16, რუსეთი) 6:1 6:1; **იარმილა გაიდოშოვა** (სლოვაკეთი) — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 6:2 5:7 6:3; **პატი შნიდერი** (7, შვეიცარია) — მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:1 6:2; **ანდა პერიანუ** (რუმინეთი) — ლუსი შაფაროვა (28, ჩეხეთი) — 6:1 7:6; **ჰანა შრომოვა** (ჩეხეთი) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:1 7:5; **ფრანჩესკა სკიავონე** (9, იტალია) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) — 6:3 6:4; **მარტინა მიულერი** (გერმანია) — ნატალი ვიერინი (იტალია) 4:6 6:4 3:0 (უარი); **კირსტენ ფლიპკენსი** (ბელგია) — ვირჯინია პიშე (საფრანგეთი) 6:2 6:3; **კატალინა კასტანო** (კოლუმბია) — აიკო ნაკამურა (იაპონია) 4:6 6:3 6:1; **ნატალი დეში** (21, საფრანგეთი) — სტეფანი ფორეცი (საფრანგეთი) 6:2 3:6 6:3; **კატარინა სრებოტნიკი** (24, სლოვენია) — ანა სმაშნოვა (ისრაელი) 6:4 4:6 6:2; **სოფია არვიდსონი** (29, შვედეთი) — მარია ვენტო-კაბჩი (ვენესუელა) 6:4 6:2; **კიმ კლაისტერსი** (2, ბელგია) — ვირჯინია რაზანო (საფრანგეთი) 6:0 7:6; ელენა დემენტიევა (6, რუსეთი) — მარტინა სუხა (სლოვაკეთი) 7:6 6:2; **ნა ლი** (ჩინეთი) — ემი ფრეიზერი (აშშ) 7:6 4:6 6:1; **ემა ლეინე** (ფინეთი) — იულია ფედოსოვა (უკრაინა) 4:6 7:6 6:2; **იულია ვაკულენკო** (უკრაინა) — მენგ იუანი (ჩინეთი) 6:1 6:2; **ეშლი ჰარკლროუდი** (აშშ) — ელენა კოსტანიში (სერბეთი) 7:5 2:6 7:5; **ვიქტორია კუტუზოვა** (ბელორუსია) — ვანია კინგი (აშშ) 7:6 6:2; **ვინუს უილიამსი** (11, აშშ) — სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:4 6:3; **ანა ჩაკვეტაძე** (27, რუსეთი) — ევა ბირნეროვა (ჩეხეთი) 7:5 6:4; **ალისია მოლიკი** (ავსტრალია) — ანტონელა სერა ძანეტი (იტალია) 7:5 7:6; **ფლავია პენეტა** (17, იტალია) — ბეტანი მატეკი (აშშ) 6:3 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა** (8, რუსეთი) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:4 6:0; **კონჩიტა მარტინეს გრანადოსი** (ესპანეთი) — მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 6:4 3:6 6:1; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (16, ჩეხეთი) — მარტა დომაჩოვსკა (პოლონეთი) 6:1 6:3; **ტიან ტიან სუნი** (ჩინეთი) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) 6:2 7:6; **მარა სანტანჯელო** (იტალია) — არანჩა პარა სანტონია (ესპანეთი) 6:4 6:1

**გამარჯვებულის** ფსიქოლოგია — ეს არის, რაც ერთმანეთისგან ანსხვავებს ჩემპიონს და უიღბლოს, ელიტარულ ჩოგბურთელსა და რიგით მოთამაშეს, ძლიერსა და სუსტს. სწორედაც რომ მტკიცე ხასიათისა და თვითრწმენის ხარჯზე გამხდარან ჩემპიონები ესა თუ ის აწ უკვე ლეგენდად ქცეული ჩოგბურთელები.

სწორედაც რომ მტკიცე ხასიათი და მართლაც გამარჯვებულის ფსიქოლოგია იყო ის ორი ფაქტორი, რომელთა მეშვეობითაც მარია შარაპოვას კიდევ ექნება პარიზში თამაშის საშუალება. მხოლოდ ამის ხარჯზე შეძლო რუსმა პრიმამ ფაქტობრივად წაგებული თამაშის შემობრუნება, თამაშისა, რომელიც მარიას ყველა ლოგიკით უნდა წაეგო — ტრავმის გამო წლეულს თიხნარზე თითქმის არ უთამაშია და თვენახევარი გაუცდა, თანაც კორტის მოპირისპირე მხარეს მყოფი მაშონა ვაშინგტონი აშკარად კარიერის საუკეთესო მატჩს თამაშობდა.

კარგად დაწყებულ თამაშში შარაპოვამ წელ-წელა უკლო და მეორე სეტის შუაწელზე ალარაფერი გამოსდიოდა. ვაშინგტონმა კი ეს კარგად იგრძნო, სეტებში ანგარიში მალევე გაათანაბრა და მესამე პარტიაშიც სიტუაციას ის აკონტროლებდა.

სლავი კატასტროფის წინაშე მაშინ დადგა, როცა გადამწყვეტ სეტში ამერიკელი 5:2 დაწინაურდა, მაგრამ აქ შარაპოვამ ყველას დაანახვა, რომ ჩოგბურთელთა იმ მცირე კოჰორტის წარმომადგენელია, რომლებიც ყოველთვის ბოლომდე იბრძვიან, რა გინდა სავალალო მდგომარეობაშიც არ უნდა იყვნენ.

აი, აქ გამოჩნდა, თუ რატომ არის დღეს შარაპოვა ელიტის წარმომადგენელი, ვაშინგტონი კი საშუალო დონის ჩოგბურთელი. მარიამ შემოაბრუნა ეს თამაში, ამისთვის სამი მატჩ-პოინტიც გაანეიტრალა და ზედიზედ 5 გეიმის მოგებით საბოლოო შედეგიც დააფიქსირა — 6:2 5:7 7:5.



მარია შარაპოვამ წვალებით მაგრამ მაინც მოიგო

„უკვე აეროპორტში ვრეკავდი, ლონდონის ბილეთის შეკვეთა მინდოდა, უიმბლდონისთვის მზადებას მალევე დავიწყებ-მეთქი — იხუმრა შარაპოვამ თამაშის შემდეგ — დღეს ორმაგი სიურპრიზი მოვუწყვე საკუთარ თავს: ჯერ იყო და საქმე მესამე სეტამდე მივიყვანე, მერე კი ლამის გმირობა ჩავიდინე".

შრაპოვა-ვაშინგტონის მატჩი კვირას შედგა, მეორე სათამაშო დღედ ქცეულმა ორშაბათმა კი დიდი მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა, თუმც გუშინ ორი ტრილერი მაინც გაიმართა.

ხოსე აკასუსომ და ფაბრის სანტორომ კვირას ერთმანეთში ვერ მოასწრეს გამარჯვებულის ვინაობის გარკვევა და შემოლამების გამო საქმეების გარჩევა ორშაბათს გადმოიტანეს. აქ განსაკუთრებით 32 წლის ვეტერანი სანტოროა გამოსაყოფი, რომელმაც ახალგაზრდა მეტოქეს სიცოცხლე გაუმწარა თავისი ორიგინალური თამაშით. თუმც აკასუსომ მრავალრიცხოვანი შანსიდან ერთი მაინც გამოიყენა მეხუთე სეტის მეცხრამეტე გეიმში, ბრეიკი გაუკეთა ფრანგს და თავის ორდღიან წვალებას ბოლო მოუღო.

კიდევ ერთი ხუთსეტიანი და მრავალსაათიანი დაპირისპირება ნიკოლას მასუსა და ქსავიე მალისს შორის შედგა, სადაც ბოლო სეტში კვლავაც დიდი ანგარიში — 9:7 დაფიქსირდა. გამარჯვებით კი ათენის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მასუმ იმარჯვა.

წარმატებით დაძლია პირველი ბარიერი „როლან გაროსის" ორმა ყოფილმა გამარჯვებულმა — ხუან-კარლოს ფერერომ და გასტონ გაუდიომ.

საკმაოდ მოულოდნელად, უპრობლემოდ მოიგო ჯეიმს ბლეიკმა, რომელსაც პარადორნ შრიჩაპარნმა ბრძოლისმაგვარი მხოლოდ მესამე სეტში შესთავაზა. ბლეიკი კი შეეცდება, პირველი ამერიკელი გახდეს უკანასკნელი წლების განმავლობაში, ვინც „როლან გაროსის" მესამე წრეში მაინც მიაღწია. ბოლოს ეს ანდრე აგასიმ მოახერხა 2003 წელს.

**კახა ლომაშვილი**



AFP

# ბევრგან გერმანიაში


AFP

თქვენ რომ მიუნხენში ცხოვრობდეთ და სადმე მიემგზავრებოდეთ, აეროპორტის გზაზე შეხვდებოდით ნახტომში გაჭიმულ ოლივერ კანს. ალბათ გაიკვირვებდით კიდეც, კანი ხომ აღარ არის ბუნდესნაკრების პირველი მეკარეო.

იმავ გერმანიაში ძველგერმანელი ვარსკვლავების, ზეელერის, ბრემესა და ეკელის სტუმრობა ძეგლთან არ გაგიკვირდებათ. ვისი ძეგლია? ადი დასლერის, ოღონდ, გევედრებით, ნუ იკითხავთ, ადი დასლერი ვინ არისო.

გერმანიაშივეა გადაღებული ეკვადორელ ფეხბურთელთა ფოტოც. მათი მთავარი ღირსება ჯერჯერობით შლაპებია, მერე კი ვნახოთ.

შორეულ კალკუტაში კი ბავშვი ხატავს უეინ რუნის — ამ ბავშვს რომ რუნის ფული ჰქონდეს...



AFP


AFP

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge